ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 მაისი 2007 №103 (3026) ფასი 50 თეთრი




## გიორგიმდე კო ნავა

დემეტრაძის საქმე პოლიტიკურად შეჩერდა 2



## ქართველი იბრაჰიმოვიჩი

ლევან მჭედლიძე: ნამდვილი ევროლელი 1 ივნისიდან 3

## სამ კვირაში სამწლიანი

დავით თარგამაძე ფრაიბურგს გაიფორმებს 3

# მიშელ პლატინის საქართველო არ დავიწყებია




## ევროფეხბურთში ფრანგული რევოლუციის სიომ დაჰბერა

ჩემპიონთა ლიგის ახალ პროექტს უეფა სექტემბერში სტამბოლში გასამართ აღმასკომის სხდომაზე წარმოადგენს — ამის შესახებ მიშელ პლატინიმ გერმანულ „კიკერს" განუცხადა.

„ახალ ფორმატს 27 სექტემბერს წარმოვადგენთ — თქვა უეფას პრეზიდენტმა — ჩემი ფილოსოფია ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგაში პატარა ქვეყნების ჩემპიონებმაც უნდა ითამაშონ და არა დიდების მეოთხეადგილოსნებმა."

პლატინიმ პროექტის დეტალები აღარ გაამხილა, აღმასკომთან რაღაც-რაღაცები ჯერაც შესათანხმებელიაო. ისე კი, მან ჯერ კიდევ საქართველოში პირველი ოფიციალური ვიზიტისას თქვა, თქვენნაირ ქვეყნებს უფრო მეტი შანსი უნდა მიეცეთო და, ჩანს, ამ საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდა...

რაც შეეხება უეფას თასს, პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ 2009 წლიდან ამ ტურნირში 8 ხუთგუნდიანი კი არა, 12 ოთხგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება. ლეგენდარული ფრანგის თქმით, ამ ცვლილებას ბევრმა კლუბმა დაუჭირა მხარი.

ასე რომ, მალე ევროფეხბურთში მასშტაბურ და რევოლუციურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ...



## განმეორება ადვილია: ა-ზო-ტი! ა-ვი-ა!

გუშინ საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალისტები ნაადრევად გამოვლინდნენ. რუსთავის „აზოტმა", მოლოდინისამებრ, იოლად, 3:0 მოუგო სერია თბილისის „დინამოს" და მეხუთედ ეცდება ნანატრი ოქროს მოგებას. აი, მოქმედი ჩემპიონისგან თსუ-ს ასე დაჩაგვრას კი ძნელად, ვინმე ივარაუდებდა — ლევან მოსეშვილის „ავიამშენმა" მესამე მატჩიც მოუგო უნივერსიტეტის გუნდს და ტიტულის დაცვის უფლება მოიპოვა. სერია „ავიატორებმაც" 3:0 მოიგეს.

მაშ ასე, ფინალი განმეორდა: ზედიზედ მეორედ პირველობისთვის „აზოტი" და „ავიამშენი" იბრძოლებენ. შარშან „ავიამ" 3:2 იმარჯვა, თუმც ამჯერად მოედნის უპირატესობა რუსთაველებისაა.



## რატიგოლები მსხვილი პლანით

საქართველოს ხელბურთელთა მეჩვიდმეტე ჩემპიონატი ხუთგუნდა იყო, მაგრამ მეხუთეს — „მამულს" მონაწილეც არ ეთქმოდა — ყველა თამაში წააგო და ბოლო მატჩში საერთოდ არ გასულა მოედანზე.

დანარჩენები კი უკვე მედლებისთვის იბრძვიან და გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში საჩემპიონო სუპერფინალის პირველი მატჩიც ჩატარდა. ქვეყნის 16-გზის ჩემპიონმა, თელავთან გაერთიანებულმა სტუ-„შევარდენმა" „თბილისს" უმასპინძლა და 16 გოლის გამტანი რატი მსხვილიძის წყალობით 35:29 დაამარცხა მეტოქე.

საპასუხო მატჩი 19 მაისს ასკ-ს დარბაზში გაიმართება, მაგრამ საეჭვოა, რეგულარული ჩემპიონატის მომგებმა ექვსბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა შეძლოს.

# გიორგიმდე კო წავა...

## დემეტრაძის საქმე პოლიტიკურად შეჩერდა



რაც ჰოლანდიელი კო ადრიანსე დონეცკის „მეტალურგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, დონეცკელთა ქართველი ლეგიონერი გიორგი დემეტრაძე მოედანზე სირბილის ნაცვლად სასამართლოში დარბის. „დემეტრაძის საქმე" იმდენად გახმაურებულია, რომ მასზე აქ აღარას ვიტყვით. ჩვენთვის მთავარია საქართველოს ნაკრების ფორვარდის უთამაშებლობა. იანვრიდან მოყოლებული, დემეტრაძემ მხოლოდ ერთხელ ითამაშა „მეტალურგისთვის", არადა, ნაკრებში საკვანძო ფეხბურთელია — მისი უთამაშებლობა კი უპირველეს ყოვლისა სწორედ ეროვნულ გუნდს დაეტყობა. რა არის ახალი და რას აპირებს გიორგი დემეტრაძე? ამის გასაგებად მას გუშინ დონეცკში დავუკავშირდით...

— ჩემკენ ახალი ისაა, რომ რამდენიმე დღეა, ტრავმა მოვიშუშე და გუშინ უკვე გუნდთან ერთადაც სრული დატვირთვით ვივარჯიშე. ორი კვირა ვისვენებდი, ვარჯიშზე კუნთი დამეჭიმა და ვმკურნალობდი. ჩემს უთამაშებლობას თითქოს ეს ტრავმა აკლდაო, მწვრთნელი ჯანმრთელს და კარგ ფორმაში მყოფს არ მენდობოდა და ალბათ მომავალშიც ასე იქნება. ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტური დარჩა, ამ სეზონს როგორმე ასე ჩავამთავრებ, მერე კი, მგონი, რაღაც შეიცვლება.

**— მწვრთნელი თუ არ გენდობა, „მეტალურგში" გაჩერებას რა აზრი აქვს?**

— გუნდთან კონტრაქტი ორი წლის შემდეგ მიმთავრდება, თუმცა ესეც რომ არა, „მეტალურგიდან" ისედაც არ წავიდოდი. წასვლაზე არც მიფიქრია და, მგონი, ჩემამდე „მეტალურგის" დატოვება მწვრთნელს მოუწევს. ეს შესაძლოა, ჩემპიონატის დასრულებისთანავე მოხდეს.

**— მწვრთნელი, ცხადია, ტრავმირებულს არ გათამაშებდა, მაგრამ იქამდე... არ დაინტერესებულხარ, რატომ არ გათამაშებდა?**

— არა, არაფერი მიკითხავს და არც თავად უთქვამს. ადრიანსემ რაღაც სიახლეები მოიტანა და თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა. სასურველ შედეგს კი ვერ მიაღწია, გუნდი ევროსაგზურის გარეშე დარჩა, რითაც ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა და ალბათ სეზონის ბოლოს გაათავისუფლებენ კიდეც.

**— ნაკრების მატჩები ახლოვდება, ახალგამოჯანმრთელებულს ლიტვასთან და საფრანგეთთან თამაში არ გაგიჭირდება?**

— იქამდე ჯერ კიდევ სამი კვირაა და ვფიქრობ, ფორმის აღდგენას მოვასწრებ. თუ სასწაული მოხდა და მწვრთნელმა უკრაინის ჩემპიონატში მათამაშა, მთლად უკეთესი, ნაკრებისთვის უკეთ მოვემზადები.

**— სასამართლოს ამბავი როგორაა, როდის განიხილავენ შენს ხელმეორე სარჩელს?**

— საამისოდ ახლა უკრაინაში არავის სცალია. მთავარი საქმე პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის დაპირისპირებაა. ჩემი სარჩელის განხილვა კი შეჩერებულია და ვიდრე პოლიტიკური ამბები არ ჩაწყნარდება, არა მგონია, სასამართლო დაინიშნოს.

**— მიახლოებით როდის განახლდება ეს პროცესი?**

— ვერ გეტყვი, სასამართლოს წერილს ველით. თუმცა ახლა „მეტალურგმა" შესაძლოა მეორე, ახალი სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, ჩემი კლუბის მოთხოვნებიც თითქმის იგივე იქნება... ვნახოთ, რა მოხდება, ისე კი, როგორც ვთქვი, ახლა მთელი უკრაინა პოლიტიკითაა დაკავებული და ყველა ვითარების დაწყნარებას ელის.

**ქობა ინასარიძე**

# გოლები კითხვის ნიშნით

## გელაშვილს ბრაზილიელი აფერხებს

**ნიკოლოზ გელაშვილი** ისევ ბელგიაშია, მაგრამ როგორ გაგრძელდება მისი ბენილუქსური ვოიაჟი, ჯერაც უცნობია.

„ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელმა „ბრიუგეს" სარეზერვო გუნდში კიდევ ერთი საცდელი მატჩი ჩაატარა „ლიერსთან". ნიკამ 90 წუთი ითამაშა და იმ ოთხი გოლიდან, რომელიც „ბრიუგემ" გაიტანა, მეორე ქართველი ფეხბურთელის ანგარიშზეა.

„ბრიუგეს" ხელმძღვანელობას ჩვენებურის თამაში არ დაუწუნია, თუმც მწვრთნელი გერტ ვერჰეიენი მაინც არჩევანის წინაშე დგას. გელაშვილთან ერთად გასინჯვაზეა ბრაზილიელი და სილვა ალანდსონი, რომელიც ასევე შედეგიანად თამაშობს და „ლიერსთან" მატჩში ორი ბურთი გაიტანა. როგორც კლუბის ვებგვერდი გვამცნობს, ვერჰეიენი გადაწყვეტილებას მალე მიიღებს.

არადა, გელაშვილის „ბრიუგეში" დარჩენის საკითხი სწორედ „ლიერსთან" თამაშს უნდა გადაეწყვიტა. მანამდე ჩატარებულ ყველა მატჩში ჩვენებური გოლით გამოირჩა და თუ „ლიერსთანაც" ივარგებდა, საქმეც გაიჩარხებოდა, მაგრამ გამოჩნდა ბრაზილიელი და...

გელაშვილისადმი ბელგიელების სიმპათიას „ვიტ ჯორჯიაშიც" ადასტურებენ, მაგრამ რა მოხდება, არ იციან. მას ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ელოდნენ გუნდში, მაგრამ მაშინ იყო, „ბრიუგემ" რომ დაიტოვა დასაკვირვებლად. ამიტომ ჯერაც უცნობია, აქვს თუ არა გელაშვილს ბელგიაში ყოფნის სავიზო ვადა, რაც სინჯების გაგრძელების საშუალებას მისცემს.

თუ „ბრიუგე" არ გამოვიდა, ჩვენებურის მსურველი „ბეერსხოტიცაა".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ათიანში

## ნუ გაიზრდებით უბურთოდ!



**გუშინ** თბილისის 53-ე სკოლის ეზოში ხალხმრავლობა იყო — დავით ყიფიანის საერთაშორისო ფონდის თაოსნობით, სკოლის მოსწავლეებს ჟურნალ „ათიანის" მთავარი რედაქტორი გიორგი გორგოძე, 53-ე სკოლის დირექტორი ზაალ სამადაშვილი, პოეტი დავით მაღრაძე და დავით ყიფიანის შვილები — ლევანი, ნიკა და გიორგი შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი ის იყო, რომ ბავშვები ფეხბურთით დაინტერესონ და მათში სტადიონზე წასვლის სურვილი აღძრან.

სტუმრებმა მოსწავლეებს „ათიანის" ბოლო ორი ნომერი და დავით ყიფიანისადმი მიძღვნილი წიგნი „დღესასწაულის წადილი" უსახსოვრეს. გარდა ამისა, 26 მაისის „ამერი" — „ზესტაფონის" სათასო ფინალს 100 ბავშვი უფასოდ დაესწრება. მათი ბილეთებით უზრუნველყოფა ყიფიანის ფონდმა ითავა.

*ნიკა ყიფიანი:* „ეს სიახლე მიზნად ისახავს ქართველი ბავშვების ფეხბურთით უფრო მეტად დაინტერესებას. არ შეიძლება, მომავალი თაობა ფეხბურთს მარტო კომპიუტერში თამაშობდეს. ჩვენი მიზანია, აქედანვე ჩავუნერგოთ ახალგაზრდებს ფეხბურთის სიყვარული და სტადიონზე წასვლის სურვილი".

შეხვედრის ორგანიზატორებს 53-ე სკოლის ეზო შემთხვევით არ შეურჩევიათ. დიდი „დინამოს" დიდი ათიანი 53-ე სკოლაში სწავლობდა, იქ აგორებდა ბურთს. სტუმრებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ასეთი შეხვედრები თბილისის სხვა სკოლებშიც მოეწყოს, მით უფრო, რომ წამოწყებამ აშკარად გაამართლა, ბავშვები ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ.

**ლექსო მაისურაძე**

კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი — ისინი თინეიჯერულ ასაკში აღარ არიან და მათთვის კიევის „დინამოს" კი არა, „რეალის" მეორე გუნდში თამაშიც გვიანია. მარცვალაძე დაშავებული იყო, იმედაშვილს სხვა გუნდში ანათხოვრებდნენ, ალადაშვილი კი შეკრებაზე წაიყვანეს: ეს ამ ზამთარს იყო, მას შემდეგ კი სამივენი კიეველთა დუბლებში თამაშობენ და კლუბის შეცვლა გადაუწყვეტიათ

# კახა ალადაშვილი არეულობას ერიდება

— პირადად მე სეზონის დამთავრებას ველოდები და აქ გამჩერებელი აღარ ვარ. ძალიან უცნაური და არეული სიტუაციაა „დინამოში". კონკურენცია მესმის, მაგრამ კლუბში ძალიან ბევრი მოთამაშეა და ვინ პირველი გუნდის წევრია და ვინ დუბლების, არ გაირჩევა — გვითხრა ალადაშვილმა.

**— ზამთარში არ შეგეძლო სხვა კლუბში გადასვლა?**

— პირველი შეკრებიდან რომ დავბრუნდით, ჩემი მენეჯერი დაუკავშირდა „დინამოს" პრეზიდენტ იგორ სურკისს და უთხრა, ორი გუნდი ახლავე იხდის ფულს ალადაშვილშიო. სურკისმა უარი თქვა, ალადაშვილი მჭირდებაო. მერე „დინამომ" მეორე შეკრებაზე წამიყვანა, სადაც რამდენიმე მატჩი ვითამაშე, მაგრამ დაიწყო სეზონი და ისევ დუბლებში გადამიყვანეს.

**— შენ მსურველ კლუბად კრასნოდარის „ყუბანი" ითქვა...**

— ეს ადრე იყო, ახლა „ყუბანზე" უკეთესი ვარიანტიც შეიძლება.

**— ვერ დაგვიკონკრეტებ?**

— დაზუსტებით ჯერ არც მე ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ რუსეთის გუნდები და ერთიც დასავლეთევროპული კლუბია ჩემით დაინტერესებული. შესაძლოა, უკრაინული ვარიანტიც იყოს, მაგრამ არა მგონია, აქ დავრჩე.

**— როგორ ატყობ, კიეველები შენ გაყიდვას დაყაბულდებიან თუ გაგანათხოვრებენ?**

— არა, განათხოვრება არც მე მაძლევს ხელს და, წესით, არც კიეველებს უნდა აწყობდეთ.

**— „დინამოს" მეორე შეკრებაზე თამაში გიწევდა. მერე რა მოხდა?**

— უბრალოდ, არ მათამაშებენ. შეკრებაზე რა პრეტენზიები უნდა ჰქონოდათ, როცა თითქმის ყველა მატჩში ან გოლს ვიტანდი, ან საგოლე პასს ვაკეთებდი.

**ილია ნანობაშვილი**



### ინგლისი

კონფერენსლიგა
პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

ოქსფორდი 1:2დდ. (1:2, პენ.3:4) ექსეტერი (1:0)

### პოლონეთი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები

პლოცკი 0:0 გროცლინი
კორონა 1:2 კრაკოვია

### ბელგია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

ბრიუგე 2:0 გენტი (1:3)

### შვედეთი

ალსვენსკა. V ტური

მალმიო 1:1 ჰამარბი

სუპერეტა. IV ტური

ჰეკენი 1:2 სუნდსვალი

### რუსეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

მოსკვა 1:0 დინამო (ბრ) (1:1)

### სლოვაკეთი

თასის ფინალი

სენეცი 0:4 მორავცე

### რუმინეთი

პირველი ლიგა. XXXI ტური

უნივერსიტატეა 2:0 პეტროსანი
დინამო 1:0 კლუჟი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XXVIII ტური

მტკ 4:2 დიოშდიორი

### ავსტრია

ბუნდესლიგა. XXXIII ტური

რაპიდი 3:0 აუსტრია


**იყიდება**

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Mchedlidze, il giovane Ibrahimovic

*L'Empoli mette le mani sul georgiano e spedisce il fratello in serie*



**Mchedlize show.** Simpatica la battuta di uno sportivo, che vedeva il georgiano all'opera per la prima volta: «C'è dal buono in questo ragazzo», con accento empolese. Forse qualcosa di più di buono. E' vero che gli avversari erano di Seconda categoria, ma anche ieri ha dimostrato di avere una confidenza con la palla che ricorda Ibrahimovic. Molto bello, poi, il gol al volo di destro dal limite dell'area.



**LA PROMESSA**
**Ieri ha giocato anche Levan Mchedlidze un gol e tante belle invenzioni**



# ქართველი იბრაჰიმოვიჩი

## ლევან მჭედლიძე: ნამდვილი ემპოლელი 1 ივნისიდან

„ის შვედ იბრაჰიმოვიჩს ჰგავს, ჭაბუკმა ქართველმა ფორვარდმა ახლახან ამხანაგურ მატჩში ულამაზესი გოლი გაიტანა" — ეს იტალიური პრესის ამონარიდია, ქება კი 17 წლის ლევან მჭედლიძეს ეკუთვნის. სიმაღლე, თამაშის მანერა: მჭედლიძე და იბრაჰიმოვიჩი მართლაც ჰგვანან ერთამანეთს, ოღონდ ქართველს შვედამდე ჯერ ძალიან ბევრი უკლია... მთავარი ისაა, რომ საქართველოს მართლაც ნიჭიერი თავდამსხმელი ეზრდება. კარგა ხანია, ლევანი „ემპოლის" ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ამხანაგურ მატჩებშიც თამაშობს და საქმე იქითკენ მიდის, რომ მომავალ სეზონში სერია A-შიც შეაბიჯებს. მჭედლიძემ ყოჩაღად ითამაშა შარშანდელ 17-წლამდელთა ევროშესარჩევ ციკლში, სულ მალე კი 19-წლამდელებს შოტლანდიაში გაჰყვება ევროჩემპიონატის ელიტ-რაუნდში საბრძოლოდ.

— „ემპოლიში" ჩინებულად ვგრძნობ თავს, კლუბში ყველა მამხნევებს და ვგრძნობ, რომ ჩემი იმედი აქვთ — გვითხრა ლევანმა, რომელსაც გუშინ იტალიაში დავუკავშირდით.

— 18 წლის გაისად გახდები, თუმც როგორც ვიცით, „ემპოლი" მანამდეც მოახერხებს შენთან კონტრაქტის გაფორმებას...

— დიახ. საბუთები მზადდება და დღე-დღეზე ყველაფერი რიგზე იქნება. სავარაუდოდ, 1 ივნისს კონტრაქტს გავაფორმებ.

— მანამდე კი გუნდს ეჩვევი და ამხანაგურებში გოლებიც გაგაქვს...

— „ემპოლი" თითქმის ყოველი კვირის შუაში თამაშობს ამხანაგურ მატჩებს და თუ ჯანმრთელად ვარ, არც ერთ თამაშს არ ვტოვებ. ძლიერ მეტოქეებს არ ვხვდებით ხოლმე, თუმც საუდატისთან, ალმირონთან და ვანუკისთან ერთად თამაში ჩემთვის დიდი სიამოვნება და სტიმულია.

— „ემპოლის" ფეხბურთელებიდან ვისთან მეგობრობ?

— ყველასთან, აქ თავს შინაურულად ვგრძნობ. „ემპოლიში" ყველაზე უმცროსი ვარ და ყველანი მამხნევებენ, რჩევებს მაძლევენ.

— „ემპოლი" ძლიერ სეზონს ატარებს, სერია A-ში მეხუთე ადგილზეა და ალბათ უეფას თასის საგზურსაც მოიპოვებს. ვინაა ამ გუნდის ლიდერი?

— აქ ისედაც ძალიან უყვართ ფეხბურთი და ამ წარმატებული სეზონის პერიოდში ემპოლიში ნამდვილი საფეხბურთო ბუმია. ლიდერები კი, ჩემი აზრით, ბერნარდო ალმირონი და იგლი ვანუკი არიან. ალმირონი „იუვენტუსში" გადადის.

— მალე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროჩემპიონატის ელიტ-რაუნდზე წაჰყვები შოტლანდიაში. როგორ ფიქრობ, შეგიძლიათ შოტლანდია-პორტუგალია-თურქეთის კომპანიაში პირველ ადგილზე გასვლა?

— შევძლია კი არა, უნდა გავიდეთ კიდეც. რატომღაც ვგრძნობ, რომ მიზანს მივაღწევთ.

— კი, მაგრამ, მეტოქეებს არ იცნობთ...

— ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს, ჩვენი უმეტესობა 21-წლამდელთა ნაკრების კანდიდატია და საჩვენო გამოცდილება არ გვაკლია. ამ ასაკში კი ეს ბევრს ნიშნავს. ნამდვილად მჯერა, რომ პირველ ადგილზე გავალთ...

ლევანის უფროსი ძმა, 23 წლის გიორგიც იტალიაშია — იგი „ემპოლის" ეკუთვნოდა და იტალიის ერთ-ერთ ქვედასერიელ კლუბში იყო განათხოვრებული, თუმც ტრავმები თამაშის საშუალებას არ აძლევს.

„ოთხი თვეა, არ მივარჯიშია. ადრე წელის ტრავმა მქონდა, ახლა კი მხარიც მაწუხებს. ექიმებმა მითხრეს, მკურნალობას დრო სჭირდებაო და მეც ვითმენ. ამჟამად უკონტრაქტოდ ვარ" — გვითხრა გიორგი მჭედლიძემ.

**ილია ნანობაშვილი**

# სამ კვირაში სამწლიანი

## დავით თარგამაძე ფრაიბურგს გაიფორმებს

„ფრაიბურგი" გერმანიაში ქართულ გუნდად ითვლება. ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე — ეს ის ფეხბურთელები არიან, ვისაც უთამაშია და დღესაც თამაშობენ ბადენ-ვიუნტერბერგულ გუნდში. მართალია, იაშვილი მალე დატოვებს „ფრაიბურგს", მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას კიდევ ერთი ქართველი, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების 17 წლის ფეხბურთელი დავით თარგამაძე ჰყავს შეგულებული.

თარგამაძე სამი თვე იყო „ფრაიბურგში" და გერმანელებმა მისი გარჯა მოიწონეს. 1 ივნისს კი, თუ სასწაული არ მოხდა, „ფრაის" და თარგამაძეს შორის სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდება.

„გერმანიაში 1 ივნისს ჩავალ და სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებ. ჯერ მეორე გუნდში ვითამაშებ, ერთ წელიწადში კი მთავარ გუნდზე მიდგება საქმე და ეს ჩემზეც იქნება დამოკიდებული. ყველაფერი უნდა გავაკეთო, რათა დიდ გუნდში რაც შეიძლება მალე მოვხვდე" — გვითხრა თარგამაძემ.

ჩვენებური მეორე გუნდში ითამაშებს, რომელიც 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში გამოდის და საკმაოდ კარგადაც — „ფრაი 2" ამჟამად მეორე ადგილზეა. თარგამაძე მწვრთნელებს მარჯვენა ნახევარმცველად სურთ. ეს სამი თვე სწორედ ამ პოზიციაზე იწვრთნებოდა, თამაშით კი ჯერ არ უთამაშია, რადგან სამუშაო ვიზა არ ჰქონდა.

„თამაშის უფლება არ მქონდა. ჯერ არასრულწლოვანი ვარ და სტუდენტური ვიზა მჭირდება. გერმანიაში ჩასვლისთანავე ყველა საჭირო საბუთი მოწესრიგებული დამხვდება და ხელს აღარაფერი შემიშლის".

გერმანიაში ჩასვლამდე თარგამაძე საბუთებს აქაც ამზადებს. მალე 19-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიაში გაემგზავრება ელიტ-რაუნდში სათამაშოდ და დათოც მიჰყვება. მეტოქეები ძლიერნი ჩანან, თუმც ახალგაზრდა ფეხბურთელი იმედიანადაა.

„შოტლანდია მასპინძელია, ძლიერები არიან პორტუგალია და თურქეთიც, მაგრამ რადგან ელიტ-რაუნდში ჩვენც მოვხვდით, ცუდი გუნდი არც ჩვენ გვყავს. ბიჭებშიც საბრძოლო განწყობაა, ამიტომ წარმატების იმედი გვაქვს."

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 38 11 14,
877 54 55 00;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრუიფის სიტყვა: ჰუნტელაარი!



## ბარსა შეტევაზე გადადის

**იოჰან კრუიფმა** და „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ კატალონიური გრანდის სამომავლო ტრანსფერებზე ითათბირეს. ბარსელონური მედიის ცნობით, გუნდის ყოფილმა მწვრთნელმა ამჟამინდელ პრეზიდენტს ამსტერდამის „აიაქსის“ ფორვარდ კლაას-იან ჰუნტელაარის ყიდვა ურჩია.

ჰუნტელაარი წლეულს 21 გატანილი გოლით ჰოლანდიის ჩემპიონატის მთავარმეგოლე გახდა. მისი მწვრთნელი კი ჰენკ ტენ კატია, „ბარსელონას“ დამრიგებელ ფრანკ რაიკარდის ყოფილი თანაშემწე.

ჰოლანდიელი ფორვარდი 2000 წელს გადავიდა „აიაქსში“ და მისი ტრანსფერი ყველაზე ძვირადღირებულია ამ ქვეყნის ჩემპიონატების ისტორიაში.

კლაას-იან ჰუნტელაარის შეძენით ღიდევროპული გრანდები არიან დაინტერესებულნი და მათ შორის ყველაზე ახლოს ტურინის „იუვენტუსია“.

**ლადო ხომერიკი**





13 აპრილი: დღე, როდესაც დიეგო მარადონა სასწრაფოდ გადაიყვანეს ფსიქიატრიულ კლინიკაში. ამის ამსახველი ფოტოები ახლადა გამოქვეყნდა არგენტინულ პრესაში

# ნუ აზვიადებთ მესის გოლს!

## მარადონა ჯანზეა. მხოლოდ არგენტინა სტკივა

**დიეგო მარადონამ** განაცხადა, რომ ისინი, ვინც ლეო მესის „ხეტაფესთან“ გატანილ გოლს მარადონა რეის მიერ 1986 წლის მუნდიალზე ინგლისის ნაკრების კარში შეგდებულ ბრწყინვალე გოლს ადარებენ, ფრიად აზვიადებენ.

„ჩემი აზრით, მესი ფენომენია, ამოუწურავი ტალანტის მქონე ფეხბურთელი, რომელსაც უფრო ძლიერადაც შეუძლია თამაში, ვიდრე ამას დღეს აკეთებს, თუმცა ჩემი გოლი უფრო მნიშვნელოვანი იყო. ესთეტიკურ მხარეს რომ შევეშვათ, ბოლოს და ბოლოს, მარადონამ გოლი ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაუტანა. მესიმ „ხეტაფესთან“ ბრწყინვალე გოლი შეაგდო, მაგრამ, მოდით, ნუ გავაზვიადებთ“ — უთხრა დიეგომ არგენტინულ CANAL 13-ს.

სხვათა შორის, ლეგენდის ინტერვიუ „ავრილის“ ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოწერიდან რამდენიმე საათში შედგა — დიეგომ ხსენებულ კლინიკაში მთელი ორი კვირა გაატარა.

CANAL 13-ის ჟურნალისტმა მარსელო ტინელიმ დიეგოს და სტუდიაში დამსწრე საზოგადოებას მესის მიმართვაც მოასმენინა...

„ძალიან მიხარია, რომ გამოჯანმრთელდი. იმედია, მომავალშიც კარგად იქნები და პრობლემები არ შეგაწუხებს. მინდა, ყოველივე იმისთვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებია და ჩემზე გითქვამს, მადლობა გითხრა. მთელი არგენტინა ყოველივე კარგს გისურვებს... მთელი ქვეყნისთვის და პირადად ჩემთვის მოედანზე და მის გარეთ ნამდვილი კერპი ხარ. ნუ გეწყინება, თუ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ დაგიკავშირდი, ეს მხოლოდ ჩემი სიმორცხვის ბრალია და სხვა არაფერი“ — თქვა „ბარსელონას“ ახალგაზრდა ვარსკვლავმა.

ცხადია, სტუდიაში შეკრებილმა ხალხმა მესი ტაშით დააჯილდოვა. მარადონამ კი აღნიშნა, რომ ლეო დიდ ფეხბურთელობასთან ერთად, შესანიშნავი პიროვნებაცაა...

„მესის კარგი შანსები აქვს, არგენტინის ნაკრების ლიდერად გადაიქცეს. თუ იგი თავის წყნარ ხასიათს სულ მცირე აგრესიას შემატებს, რაც დიდი ფეხბურთელისთვის აუცილებელია, 2010 წლის მუნდიალზე ლეოსთან ერთად შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ... მესი საოცარი მობურთალია, მას შეუძლია, ბურთს არც დახედოს და მეტოქეები ისე მოატყუოს... იგი ჭეშმარიტი ლიდერია“ — თქვა ახალგამოჯანმრთელებულმა დიეგომ.

**ლადო ხომერიკი**

# რა ხდება ესპანეთში?

## რეალმა გაზეთებს ცეცხლი წაუკიდა

**ესპანური** პრესა მადრიდის „რეალით“ მოიხიბლა. თითქმის არც ერთ სპორტულ გამოცემას არ დაუშურებია საქებარი სიტყვები ამ უქმეებზე „სევილიასთან“ 3:2 მოგებული მატჩის შემდეგ. ორივე გუნდმა მართლაც ბრწყინვალე საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს და თამამად შეგვიძლია, ეს შეხვედრა სეზონის საუკეთესო მატჩთა შორის დავასახელოთ.

GENIAL MADRID — დაწერა „მარკამ“ — „სამეფო გუნდმა“ ბრწყინვალე ფიზიკური მზადყოფნა გამოავლინა და ხარისხიანი თამაში აჩვენა. ეს „რეალის“ საუკეთესო მატჩი იყო სეზონში. შეუდარებელი გახლდათ გუტი, მან ქომაგები აღაფრთოვანა. მადრიდელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კი, ბოლოს და ბოლოს, დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. იტალიელმა კარგი გაკვეთილი ჩაუტარა ხუანდე რამოსს და მის ძლიერ „სევილიას“.

„მარკამ“ ცალკე წერილი მიუძღვნა რუუდ ვან ნისტელროის. ჰოლანდიელმა ფორვარდმა „სევილიასთან“ მატჩში მორიგი დუბლი მიითვალა და 20 გოლით პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირია.

ESTADO DE EUFORIA — ეს უკვე „ასის“ პირველი გვერდია — აღმაფრენაში მყოფი „რეალი“ მზად არის ჩემპიონობისთვის, მადრიდელთა შეჩერება არავის შეუძლია. კაპელომ ჭკუა და სითამამე გამოავლინა — მინდვრიდან გაიყვანა რაული და მიგელ ტორესი, შემოიყვანა დიდებული გუტი და ივან ელგერა. საბოლოოდ, „რეალმა“ შეძლო მართლაც ბრწყინვალე „სევილიას“ დამარცხება.“

„ელ პაისმაც“ მთავარი აქცენტი გუტიზე გააკეთა: „მადრიდელთა ვიცე-კაპიტანმა დაუვიწყარი, ბრწყინვალე თამაში აჩვენა. „რეალმა“ სწორედ გუტის ჩინებული თამაშით სძლია „სევილიას“. ბოლო 30 წუთში იგი შეუდარებელი იყო.“




„ნამდვილი მადრიდის „რეალი“ — წერს „ელ მუნდო დეპორტივო“ — „სამეფო გუნდმა“ საუკეთესო მატჩი ჩაატარა. წაგებული ტაიმის შემდეგ „რეალმა“ თამაშის შემობრუნება შეძლო, რითაც დიდი ფსიქოლოგიური მუხტი მიიღო.“

ABC: „რეალმა“ კლასით იმარჯვა. გუტიმ ისედაც ბრწყინვალე მატჩს დამატებითი და გადამწყვეტი ეშხი შესძინა. მადრიდელები სეზონის ბოლო ნაწილს ბრწყინვალედ ატარებენ. ისინი ყველაფერს ანგრევენ, რაც წინ ხვდებათ.“

და ერთიც: მართალია, პრიმერადივიზიონს ისევ „ბარსელონა“ ლიდერობს, მაგრამ ესპანურ პრესას უკვე ჰყავს თავისი ჩემპიონი — მადრიდის „რეალი“!

**გიორგი ძაძაბაძე**

## დავითი და ორი გოლიათი

**ვალენსიელი** დავიდ სილვათი მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ დაინტერესდნენ. შარშან ფეხბურთელმა „ლამურებთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა და ამ გარიგების გაწყვეტა 60 მილიონი ევრო ღირს. რაკი ორი ესპანური გრანდი სილვას ყიდვას ცდილობს, „ვალენსია“ მზადაა, ფეხბურთელს ხელშეკრულება კიდევ რამდენიმე წლით გაუხანგრძლივოს და მისი ფასი 120 მილიონამდე აწიოს.

„რეალს“ სილვას შეძენა მაშინ შეეძლო, როცა ბიჭი 12 წლის იყო, მაგრამ მადრიდელებმა მისი შემოწმება მოინდომეს, „ვალენსიამ“ კი უყოყმანოდ გაუფორმა კონტრაქტი პატარა სილვას.

## ივანი აღარ აგრძელებს

**„ესპანიოლის“** ნახევარმცველი ივან დე ლა პენია ეგებ „რეალში“ ან „ვალენსიაში“ აღმოჩნდეს. „ბარსელონას“ და „ლაციოს“ ყოფილ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი ამ ზაფხულს უმთავრდება და ჯერ გაგრძელებას არ აპირებს.

„რეალში“ იგი ემერსონის ან დიარას სავარაუდო შემცვლელად მიაჩნიათ. ვალენსიელებს კი „აიაქსიდან“ უესლი სნეიდერის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ 12 მილიონ ევროზე ამსტერდამელებმა უარი უთხრეს და ახლა ივან დე ლა პენიას ტრანსფერზე ფიქრობენ.

## რონალდინიო ეტოოში გადაიხარდა

**„მილანი“** რონალდინიოს თავს ანებებს და სამუელ ეტოოს შეძენას ეცდება — წერს „გაძეტა დელო სპორტი“.

კარგა ხანია, სილვიო ბერლუსკონი „ბარსას“ ბრაზილიელს დასდევს და არაერთხელ უთქვამს, მისთვის 100 მილიონი ევრო გადავდეო, მაგრამ კატალონიელები რონალდინიოს ვერ ელევიან და თვითონ ფეხბურთელიც არ იწევს „მილანისკენ“.

ახლა კი ირკვევა, რომ „შავ-წითლები“ სამუელ ეტოოს მიადგნენ, ეგებ ეს ბიჭი მაინც დაგვითმონო. კამერუნელი ფორვარდის ქომაგი ყოფილა კარლო ანჩელოტი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეტოო ძალიან კარგად მოერგება „მილანის“ სათამაშო სქემას.

## ბლატერი: მშვიდად!

**ფიფას** პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა სამხრეთაფრიკელები დაამშვიდა — მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი აუცილებლად თქვენთან გაიმართებაო. ამის შესახებ პრეზიდენტმა აზიის ფეხბურთის ფედერაციის კონგრესზე განაცხადა: „გარწმუნებთ, რომ თუ რამე კატასტროფული არ მოხდა, მომავალ მუნდიალს სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს.“

ამას წინათ კი ბლატერი სხვანაირად ლაპარაკობდა — სამხრეთაფრიკელები დაკისრებულ საქმეს ვერ უმკლავდებიან და არ გამოვრიცხავ, მასპინძელი შევცვალოთო, თქვა პრეზიდენტმა და აფრიკელები ამით შეაფუცხუნა.

## სამი უნდა გავაფორმოთ

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტი“ ვარაუდობს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ კარლო ანჩელოტი, ალესანდრო ნესტა და მასიმო ამბროზინი კლუბთან კონტრაქტებს გააახანგრძლივებენ.

ამბროზინი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ გაზაფხულზე, ნესტა ტრავმის შემდეგ ფორმაში ჩადგა და დაცვაში ყოჩაღობს, ანჩელოტის კი ლიგის ფინალში მესამედ გასვლა დაუფასეს და ისევ დარჩება კლუბში.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენწლიანი კონტრაქტები გაფორმდება.

## იურიცა დინამოსთვის

**მოსკოვის** „დინამოს“ გენერალურმა დირექტორმა დმიტრი ივანოვმა დაადასტურა, რომ „ვერდერიდან“ იურიცა ვრანიეშის შეძენითაა დაინტერესებული.

„სპორტული დირექტორი მილეშკინი ბრემენში იყო ხორვატი ფეხბურთელის თამაშის სანახავად და ამის შესახებ „ვერდერს“ წინასწარ ოფიციალურადაც ვაცნობეთ, თუმცა მოლაპარაკება ჯერ არ დაგვიწყია. რამდენიმე მოთამაშეზე ინფორმაციას ვაგროვებთ და ვრანიეშიც ერთ-ერთი მათგანია“ — თქვა ივანოვმა.

**ვაჟა ხუციშვილი**





13 აპრილი: დღე, როდესაც დიეგო მარადონა სასწრაფოდ გადაიყვანეს ფსიქიატრიულ კლინიკაში. ამის ამსახველი ფოტოები ახლახა გამოქვეყნდა არგენტინულ პრესაში

# ნუ აზვიადებთ მესის გოლს!
## მარადონა ჯანზეა. მხოლოდ არგენტინა სტკივა

**დიეგო მარადონამ** განაცხადა, რომ ისინი, ვინც ლეო მესის „ხეტაფესთან" გატანილ გოლს მარადონა რეის მიერ 1986 წლის მუნდიალზე ინგლისის ნაკრების კარში შეგდებულ ბრწყინვალე გოლს ადარებენ, ფრიად აზვიადებენ.

„ჩემი აზრით, მესი ფენომენია, ამოუწურავი ტალანტის მქონე ფეხბურთელი, რომელსაც უფრო ძლიერადაც შეუძლია თამაში, ვიდრე ამას დღეს აკეთებს, თუმცა ჩემი გოლი უფრო მნიშვნელოვანი იყო. ესთეტიკურ მხარეს რომ შევეშვათ, ბოლოს და ბოლოს, მარადონამ გოლი ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაუტანა. მესიმ „ხეტაფესთან" ბრწყინვალე გოლი შეაგდო, მაგრამ, მოდით, ნუ გავაზვიადებთ" — უთხრა დიეგომ არგენტინულ CANAL 13-ს.

სხვათა შორის, ლეგენდის ინტერვიუ „აერილის" ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოწერიდან რამდენიმე საათში შედგა — დიეგომ ხსენებულ კლინიკაში მთელი ორი კვირა გაატარა.

CANAL 13-ის ჟურნალისტმა მარსელო ტინელიმ დიეგოს და სტუდიაში დამსწრე საზოგადოებას მესის მიმართვაც მოასმენინა...

„ძალიან მიხარია, რომ გამოჯანმრთელდი. იმედია, მომავალშიც კარგად იქნები და პრობლემები არ შეგაწუხებს. მინდა, ყოველივე იმისთვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებია და ჩემზე გითქვამს, მადლობა გითხრა. მთელი არგენტინა ყოველივე კარგს გისურვებს... მთელი ქვეყნისთვის და პირადად ჩემთვის მოედანზე და მის გარეთ ნამდვილი კერპი ხარ. ნუ გეწყინება, თუ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ დაგიკავშირდი, ეს მხოლოდ ჩემი სიმორცხვის ბრალია და სხვა არაფერი" — თქვა „ბარსელონას" ახალგაზრდა ვარსკვლავმა.

ცხადია, სტუდიაში შეკრებილმა ხალხმა მესი ტაშით დააჯილდოვა. მარადონამ კი აღნიშნა, რომ ლეო დიდ ფეხბურთელობასთან ერთად, შესანიშნავი პიროვნებაცაა...

„მესის კარგი შანსები აქვს, არგენტინის ნაკრების ლიდერად გადაიქცეს. თუ იგი თავის წყნარ ხასიათს სულ მცირე აგრესიას შემატებს, რაც დიდი ფეხბურთელისთვის აუცილებელია, 2010 წლის მუნდიალზე ლეოსთან ერთად შევძლია მშვიდად ვიყოთ... მესი საოცარი მობურთალია, მას შეუძლია, ბურთს არც დახედოს და მეტოქეები ისე მოატყუოს... იგი ჭეშმარიტი ლიდერია" — თქვა ახალგამოჯანმრთელებულმა დიეგომ.

**ლადო ხომერიკი**



# კრუიფის სიტყვა: ჰუნტელაარი!
## ბარსა შეტევაზე გადადის

**იოჰან კრუიფმა** და „ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ კატალონიური გრანდის სამომავლო ტრანსფერებზე ითათბირეს. ბარსელონური მედიის ცნობით, გუნდის ყოფილმა მწვრთნელმა ამჟამინდელ პრეზიდენტს ამსტერდამის „აიაქსის" ფორვარდ კლაას-იან ჰუნტელაარის ყიდვა ურჩია.

ჰუნტელაარი წლეულს 21 გატანილი გოლით ჰოლანდიის ჩემპიონატის მთავარმეგოლე გახდა. მისი მწვრთნელი კი ჰენკ ტენ კატია, „ბარსელონას" დამრიგებელ ფრანკ რაიკარდის ყოფილი თანაშემწე.

ჰოლანდიელი ფორვარდი 2000 წელს გადავიდა „აიაქსში" და მისი ტრანსფერი ყველაზე ძვირადღირებულია ამ ქვეყნის ჩემპიონატების ისტორიაში.

კლაას-იან ჰუნტელაარის შეძენით დიდევროპული გრანდები არიან დაინტერესებულნი და მათ შორის ყველაზე ახლოს ტურინის „იუვენტუსია".

**ლადო ხომერიკი**

# რა ხდება ესპანეთში?
## რეალმა გაზეთებს ცეცხლი წაუკიდა

**ესპანური** პრესა მადრიდის „რეალით" მოიხიბლა. თითქმის არც ერთ სპორტულ გამოცემას არ დაუშურებია საქებარი სიტყვები ამ უქმეებზე „სევილიასთან" 3:2 მოგებული მატჩის შემდეგ. ორივე გუნდმა მართლაც ბრწყინვალე საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს და თამამად შეგვიძლია, ეს შეხვედრა სეზონის საუკეთესო მატჩთა შორის დავასახელოთ.

GENIAL MADRID — დაწერა „მარკამ" — „სამეფო გუნდმა" ბრწყინვალე ფიზიკური მზადყოფნა გამოავლინა და ხარისხიანი თამაში აჩვენა. ეს „რეალის" საუკეთესო მატჩი იყო სეზონში. შეუდარებელი გახლდათ გუტი, მან ქომაგები აღაფრთოვანა. მადრიდელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კი, ბოლოს და ბოლოს, დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. იტალიელმა კარგი გაკვეთილი ჩაუტარა ხუანდე რამოსს და მის ძლიერ „სევილიას".

„მარკამ" ცალკე წერილი მიუძღვნა რუუდ ვან ნისტელროის. ჰოლანდიელმა ფორვარდმა „სევილიასთან" მატჩში მორიგი დუბლი მიითვალა და 20 გოლით პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირია.

ESTADO DE EUFORIA — ეს უკვე „ასის" პირველი გვერდია — აღმაფრენაში მყოფი „რეალი" მზად არის ჩემპიონობისთვის, მადრიდელთა შეჩერება არავის შეუძლია. კაპელომ ჭკუა და სითამამე გამოავლინა — მინდვრიდან გაიყვანა რაული და მიგელ ტორესი, შემოიყვანა დიდებული გუტი და ივან ელგერა. საბოლოოდ, „რეალმა" შეძლო მართლაც ბრწყინვალე „სევილიას" დამარცხება."

„ელ პაისმაც" მთავარი აქცენტი გუტიზე გააკეთა: „მადრიდელთა ვიცე-კაპიტანმა დაუვიწყარი, ბრწყინვალე თამაში აჩვენა. „რეალმა" სწორედ გუტის ჩინებული თამაშით სძლია „სევილიას". ბოლო 30 წუთში იგი შეუდარებელი იყო."




„ნამდვილი მადრიდის „რეალი" — წერს „ელ მუნდო დეპორტივო" — „სამეფო გუნდმა" საუკეთესო მატჩი ჩაატარა. წაგებული ტაიმის შემდეგ „რეალმა" თამაშის შემობრუნება შეძლო, რითაც დიდი ფსიქოლოგიური მუხტი მიიღო."

ABC: „რეალმა" კლასით იმარჯვა. გუტიმ ისედაც ბრწყინვალე მატჩს დამატებითი და გადამწყვეტი ეშხი შესძინა. მადრიდელები სეზონის ბოლო ნაწილს ბრწყინვალედ ატარებენ. ისინი ყველაფერს ანგრევენ, რაც წინ ხვდებათ."

და ერთიც: მართალია, პრიმერადივიზიონს ისევ „ბარსელონა" ლიდერობს, მაგრამ ესპანურ პრესას უკვე ჰყავს თავისი ჩემპიონი — მადრიდის „რეალი"!

**გიორგი ქაქაბაძე**

# დავიდი და ორი გოლიათი

**ვალენსიელი** დავიდ სილვათი მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა" დაინტერესდნენ. შარშან ფეხბურთელმა „ღამურებთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა და ამ გარიგების გაწყვეტა 60 მილიონი ევრო ღირს. რაკი ორი ესპანური გრანდი სილვას ყიდვას ცდილობს, „ვალენსია" მზადაა, ფეხბურთელს ხელშეკრულება კიდევ რამდენიმე წლით გაუხანგრძლივოს და მისი ფასი 120 მილიონამდე აწიოს.

„რეალს" სილვას შეძენა მაშინ შეეძლო, როცა ბიჭი 12 წლის იყო, მაგრამ მადრიდელებმა მისი შემოწმება მოინდომეს, „ვალენსიამ" კი უყოყმანოდ გაუფორმა კონტრაქტი პატარა სილვას.

# ივანი აღარ აგრძელებს

**„ესპანიოლის"** ნახევარმცველი ივან დე ლა პენია ეგებ „რეალში" ან „ვალენსიაში" აღმოჩნდეს. „ბარსელონას" და „ლაციოს" ყოფილ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი ამ ზაფხულს უმთავრდება და ჯერ გაგრძელებას არ აპირებს.

„რეალში" იგი ემერსონის ან დიარას სავარაუდო შემცვლელად მიაჩნიათ. ვალენსიელებს კი „აიაქსიდან" უესლი სნეიდერის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ 12 მილიონ ევროზე ამსტერდამელებმა უარი უთხრეს და ახლა ივან დე ლა პენიას ტრანსფერზე ფიქრობენ.

# რონალდინიო ეტოოში გადაიცვალა

**„მილანი"** რონალდინიოს თავს ანებებს და სამუელ ეტოოს შეძენას ეცდება — წერს „გაძეტა დელო სპორტი".

კარგა ხანია, სილვიო ბერლუსკონი „ბარსას" ბრაზილიელს დასდევს და არაერთხელ უთქვამს, მისთვის 100 მილიონი ევრო გადავდეო, მაგრამ კატალონიელები რონალდინიოს ვერ ელევიან და თვითონ ფეხბურთელიც არ იწევს „მილანისკენ".

ახლა კი ირკვევა, რომ „შავ-წითლები" სამუელ ეტოოს მიადგნენ, ეგებ ეს ბიჭი მაინც დაგვითმონო. კამერუნელი ფორვარდის ქომაგი ყოფილა კარლო ანჩელოტი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეტოო ძალიან კარგად მოერგება „მილანის" სათამაშო სქემას.

# ბლატერი: მშვიდად!

**ფიფას** პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა სამხრეთაფრიკელები დაამშვიდა — მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი აუცილებლად თქვენთან გაიმართებაო. ამის შესახებ პრეზიდენტმა აზიის ფეხბურთის ფედერაციის კონგრესზე განაცხადა: „გარწმუნებთ, რომ თუ რამე კატასტროფული არ მოხდა, მომავალ მუნდიალს სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს."

ამას წინათ კი ბლატერი სხვანაირად ლაპარაკობდა — სამხრეთაფრიკელები დაკისრებულ საქმეს ვერ უმკლავდებიან და არ გამოვრიცხავ, მასპინძელი შევცვალოთო, თქვა პრეზიდენტმა და აფრიკელები ამით შეაფუცხუნა.

# სამი უნდა გავაფორმოთ

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტი" ვარაუდობს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ კარლო ანჩელოტი, ალესანდრო ნესტა და მასიმო ამბროზინი კლუბთან კონტრაქტებს გაახანგრძლივებენ.

ამბროზინი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ გაზაფხულზე, ნესტა ტრავმის შემდეგ ფორმაში ჩადგა და დაცვაში ყოჩაღობს, ანჩელოტის კი ლიგის ფინალში მესამედ გასვლა დაუფასეს და ისევ დარჩება კლუბში. ჯერჯერობით უცნობია, რამდენწლიანი კონტრაქტები გაფორმდება.

# იურიცა დინამოსთვის

**მოსკოვის** „დინამოს" გენერალურმა დირექტორმა დმიტრი ივანოვმა დაადასტურა, რომ „ვერდერიდან" იურიცა ვრანიეშის შეძენითაა დაინტერესებული.

„სპორტული დირექტორი მილეშკინი ბრემენში იყო ხორვატი ფეხბურთელის თამაშის სანახავად და ამის შესახებ „ვერდერს" წინასწარ ოფიციალურადაც ვაცნობეთ, თუმცა მოლაპარაკება ჯერ არ დაგვიწყია. რამდენიმე მოთამაშეზე ინფორმაციას ვაგროვებთ და ვრანიეშიც ერთ-ერთი მათგანია" — თქვა ივანოვმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვერასდროს ვერავინ გამიტოლდება

## ისევ ხრისტო ვარ, სტოიჩკოვი!

**ვინ არის ხრისტო სტოიჩკოვი? ვინ და, იოჰან კრუიფის შექმნილი, სრულიად გამორჩეული, ოცნების გუნდად მონათლული „ბარსელონას" ერთ-ერთი უდიადესი ვარსკვლავი. ის, რომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში „ბარსამ" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ ოთხჯერ მოიგო და ისტორიაში პირველად ჩემპიონთა თასიც მოიპოვა, უპირველეს ყოვლისა, ხრისტო სტოიჩკოვისა და კიდევ რამდენიმე კაცის დამსახურებაა, თუმცა, აბა, ბულგარეთში გაიკითხეთ... ვინ არის ხრისტო სტოიჩკოვი? ვინ და, დიმიტარ პენევისეული ბულგარეთის ნაკრების მთავარი ვარსკვლავი, რომლის წინამძღოლობით გუნდი 1994 წლის მუნდიალზე მეოთხე ადგილზე გავიდა, ხოლო თავად თავდამსხმელი რუს ოლეგ სალენკოსთან ერთად ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი შეიქნა.**

**მას მერე, რაც „ბუცები ლურსმანზე ჩამოჰკიდა", სტოიჩკოვმა ბარსელონელი თანაგუნდელების, რონალდ კუმანისა და მიქაელ ლაუდრუპის დარად, მწვრთნელობას მიჰყო ხელი. თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის გაწვრთნის შემდეგ, სულ ახლახანს, აპრილში, 41 წლის ხრისტომ კვლავ ესპანეთში გადაინაცვლა, სადაც ვიგოს „სელტა" ჩაიბარა.**

**შემდეგ რა მოხდა? რა და, სტოიჩკოვის ხელმძღვანელობით პირველი შეხვედრა „სელტამ" „დეპორტივო ლა კორუნიას" მოუგო, რამაც იმთავითვე კრიტიკულად განწყობილი ხალხი თითქოსდა გააჩუმა, მაგრამ მომდევნო ორ ტურში ნაწნევმა ორმა მარცხმა ვიგოური გუნდი ფსკერის სიღრმისკენ მოისროლა...**



**— თქვენ რომ ვიგოს „სელტას" სათავეში ჩადგომას დათანხმდით, გუნდი უკვე ძალიან ცუდ დღეში იყო. რამ გადაგადგმევინათ ეს ნაბიჯი?**

— გუნდის შემადგენლობა დაკვირვებით შევისწავლე და დავინახე, რომ აქ მრავლად არიან ნიჭიერი, ტექნიკური ფეხბურთელები. გარდა ამისა, ყოველთვის ვოცნებობდი ყოველდღიურ სამუშაოზე. ჩემთვის მუდმივი, პერმანენტული შრომა გადამწყვეტია და ესპანეთში, მით უფრო, „სელტას" დონის ისტორიულ კლუბში მუშაობასაც ამიტომ დავთანხმდი.

**— მართლაც, კლუბში მუშაობა ნაკრებში მუშაობისგან ძალიან განსხვავდება...**

— აბსოლუტურად განსხვავდება. ნაკრებში ფეხბურთელებთან ოთხ-ხუთ დღეს ატარებ, მეტს კი ვერა. შენს განკარგულებაში მხოლოდ იმის გაგებაა, ხომ არ დაშავდა რომელიმე მოთამაშე, იმის მოფიქრება, როგორ გამოვაშვებინო ყველა ფეხბურთელი თავის კლუბს და ბოლოს, სულ ცოტა, ერთი კონკრეტული თამაშისთვის მომზადებაც. კლუბში კი ყოველდღე მუშაობ, თან გაცილებით მეტ ხალხთან და მატჩისთვის მთელი კვირა ემზადები. ეს გაცილებით აიოლებს საქმეს.

**— ბულგარეთის ნაკრების თავკაცის თანამდებობაზე სამი წელიწადი დაჰყავით. როგორ აფასებთ განვლილ გზას?**

— ეს პერიოდი ჩემთვის უკვე წარსულია. ნაკრების მწვრთნელი რომ ვიყავი, ვცდილობდი, საქმე მთელი გულით მეკეთებინა და თხემით ტერფამდე მასში ვიყავი გადაშვებული, მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში ხელ-ფეხშეკრული ვრჩებოდი. საკმარისი იყო, წაგვებორძიკა, რომ მყისვე გამოჩნდებოდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც არანაირი უფლება არ ჰქონდათ, ჩემგან მეტი მოეთხოვათ, მაგრამ ითხოვდნენ და თან საკითხში ღრმად ჩაწვდომის გარეშე. ყველა ამბობს, რომ ბულგარეთში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ რაგინდ მოიწადინო და მუშაობით დღე და ღამე ასწორო, შედეგს ვერ მიაღწევ.

**— როგორც ჩანს, 1994 წლის ბულგარეთის ნაკრები საუკეთესოდ მიგაჩნიათ, არა?**

— ის ყოველთვის საუკეთესოდ დარჩება. იმ ნაკრებზე უმჯობესი ვერასდროს გამოჩნდება. უახლოეს მომავალში იმდაგვარ შედეგს ბულგარეთის ნაკრები ვერ მიაღწევს. რასაკვირველია, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ოდესმე, გაურკვეველ მომავალში ბულგარეთი კვლავ აავზირთებს იმ ემოციებს, მაგრამ, გიმეორებთ, ძალიან მეეჭვება, ასე რომ მოხდეს. ის გუნდი განსაკუთრებული იყო.

**— რა გახსენდებათ მაშინდელიდან?**

— ჩვენ ძალიან ხშირად ვთამაშობდით და ყოველდღე რაღაც ახალს ვსწავლობდით. რად უნდა მტკიცება, რომ ჩემს კარიერაში ყველაზე წარმატებული 1994 წელი გახლდათ. სწორედ იმ წელიწადს დამაჯილდოვეს „ოქროს ბურთით" და „ოქროს ბუცით", თუმცა იმავე წელიწადს ორი ცუდი ამბავიც მოხდა: პირველია დიეგო მარადონას დოპინგ-სკანდალი, ხოლო მეორე ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ვერ ვითამაშე.

**— თქვენებრ წარმატებული კარიერის შემდეგ მწვრთნელობაზე გადართვა ალბათ ძალიან ძნელია...**

— ჩემთვის პირიქით, ყველაფერი ადვილად აეწყო. მე ჩემს ფეხბურთელებთან ერთად ვვარჯიშობ, ვთამაშობ და ეს ყველაფერი მაცოცხლებს. მე არ გახლავართ ავტორიტარული ტიპის ხელმძღვანელი. „ასე ვთქვი და მორჩა, ასე უნდა შესრულდეს!" — ეს ჩემი სტილი არ არის. ჩემთვის მთავარია, გასახდელში რა ხდება, ბიჭები როგორ გუნებაზე არიან, რა ურთიერთობებია. ვცდილობ, ფეხბურთელებთან, რაც შეიძლება, მეტი ურთიერთობა მქონდეს, ოღონდ ამ ყველაფერთან ერთად, ვინ ითამაშებს და ვინ სათადარიგოთა სკამზე დაჯდება, ჩემი გადასაწყვეტია.

**— მოედანზე ძალიან ემოციური იყავით, ახლა კი, მწვრთნელის ადგილზე მშვიდად მდგომს რომ გიყურებთ, გვიკვირს. ეს როლის შეცვლითაა განპირობებული თუ ასაკმა შეგცვალათ?**

— არა, მე ისეთივე ვარ, როგორიც ადრე ვიყავი. ძველებურად ყველა თამაშის მოგება მინდა, მაგრამ, უბრალოდ, თეთრ ხაზს აქეთ გადმოვინაცვლე. ვფიქრობ, მატჩისწინა ვარჯიშებისა და თეორიული მეცადინეობების დროს უფრო აგრესიული და პირში მთქმელი ვარ, ვიდრე თამაშის მსვლელობისას, სათადარიგოთა სკამიდან. ფეხბურთელობის წლებში წარამარა პროტესტს მოგების ჟინი გამომათქმევინებდა ხოლმე. ახლა მოედანზე აღარ ვარ და თამაშს მე თვითონ ველარ ვიგებ. ამიტომ აღარც პროტესტებს აქვს აზრი.

**— მწვრთნელობა უფრო სტრესულია?**

— მე ყოველ შეხვედრას ბოლომდე განვიცდი. გულით ვაკეთებ ყველაფერ იმას, რასაც ჩემი მოთამაშეები აკეთებენ. მატჩის დროს ფეხბურთელებთან მეტად ახლოს ვარ.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი სახელი „სელტაში" მუშაობისას ხელს გიშლით თუ პირიქით, გიწყობთ?**

— ვფიქრობ, ხელს მიწყობს, რადგან გასახდელში შექმნილ ატმოსფეროს უკეთ ვგრძნობ. ფეხბურთელებმა მითხრეს, რომ ჩემმა გამოჩენამ ისინი პრესის ზეწოლისგან გაანთავისუფლა.

**— რა არის სტოიჩკოვის სამწვრთნელო ფილოსოფია?**

— იცით, უპირველეს ყოვლისა, დარჩენილ თამაშებზე უნდა ვიფიქროთ, როგორმე ქულები უნდა დავაგროვოთ და პრიმერადივიზიონიდან გავარდნას გადავურჩეთ და ახალზე მერე დავფიქრდებით. ჩვენ მთლიანად ახალი საკლუბო სტრუქტურის შექმნა მოგვიწევს, სადაც უდიდესი ადგილი ბავშვთა და ყმაწვილთა აღზრდას უნდა დაეთმოს. „სელტას" მაისურით, უპირველეს ყოვლისა, „სელტას" სკოლის აღზრდილი ფეხბურთელები იამაყებენ. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ფეხბურთელების გარედან მოწვევა ცუდია, უბრალოდ, ადგილობრივი სკოლის გაძლიერებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება.

**— თქვენ კრუიფის „ოცნების გუნდის" წევრი იყავით. ის გუნდი დღევანდელ „ბარსას" სჯობდა?**

— ის გუნდი იმარჯვებდა ისე, რომ თამაში თავად ფეხბურთელებსაც სიამოვნებდათ და მაყურებელიც ერთობოდა. რა თქმა უნდა, ჩემი დრო სჯობდა. მე ჩემს დროს ვუერთგულებ... სერიოზულად კი იმას გეტყვით, რომ ამ შედარებისთვის მე ცუდი რესპონდენტი ვარ. ჩემს გუნდს არაფრის დიდებით გავცვლი სხვაზე.

**— ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე ფეხბურთი უფრო დაბალი ხარისხისაა?**

— ჩემი აზრით, ფეხბურთი დიდი ხანია, ძველებური აღარ არის. მარკეტინგი და ბიზნესი ფეხბურთელებს დასვენების საშუალებას ართმევს. ისინი ძალიან ხშირად თამაშობენ. მოთამაშეები დღეში ორ საათს ვარჯიშობენ, დარჩენილ დროს კი ტელეკამერების წინ ატარებენ. ეს, რასაკვირველია, მოქმედებს. თავის დროზე იგივე მეც დამემართა, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე და ეს ყველაფერი დროზე შევწყვიტე. ვატყობდი, რომ ჩემი პირველი საფიქრალი ფეხბურთი ველარ იყო. სწორედ მაშინ გავაკეთე არჩევანი ფეხბურთის სასარგებლოდ. არასპორტულ საკითხებს ჩემს ცხოვრებაში მკაცრი ლიმიტი დავუწესე.

**— და ესპანური ფეხბურთის სტანდარტზე რაღას იტყვით?**

— მართალია, ესპანეთს უეფას თასის ფინალში ორი გუნდი ჰყავს, მაგრამ ის, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ესპანური გუნდის გარეშეა, რასაკვირველია, დიდი დარტყმაა. ამ სეზონში ყველაზე ძლიერი ინგლისური ფეხბურთია. ის სხვებს ძალიან ბევრ ასპექტში სჯობს. ინგლისში ნამდვილი ბრძოლაა, აქ კი არის თამაშები, სადაც ფეხბურთელები ბურთის კოტრიალით არიან დაკავებულნი. ესპანეთში შეჯიბრების მომენტი, დაძაბულობა ნაკლებია.

**— თქვენებრ მრავლისმნახველი ადამიანი რით ხართ ყველაზე ამაყი?**

— მარტო ერთი წარმატების არჩევა სხვების უპატივცემულობაში ჩამომერთმევა. ჩემი საფეხბურთო ცხოვრება ორნაწილიანია: ბულგარეთი და „ბარსელონა". ამ ორიდან ვერც ერთს ვერ დავივიწყებ. გარდა ამისა, დიდი გამოცდილება შევიძინე იაპონიასა და ამერიკაშიც. კლუბის მართვა, ბიზნესის თვალსაზრისით, სწორედ აშშ-ში ვისწავლე. მოკლედ, ჩემი კარიერით ძალიან კმაყოფილი ვარ. ვერც ერთი ბულგარელი ვერასდროს გამიტოლდება.

## ჩელსი — მანჩესტერი

# უშინაარსო ომი

## თერთმეტი ბულდოზერის გაუპარსავი პატრონის ზრდილობიანი მილოცვა



ჟოზე მაურინიომ ალექს ფერგიუსონს ჩემპიონობა კი მიულოცა, მაგრამ იმის თქმა „დაავიწყდა", „მანჩესტერი" საუკეთესოაო

**დღევანდელ** თამაშს, რა თქმა უნდა, სულ სხვა ფასი ექნებოდა, „მანჩესტერი" რომ უკვე ჩემპიონი არ იყოს.

მაგრამ დღევანდელ თამაშს მაინც აქვს ფასი, რადგან „სტემფორდ ბრიჯის" პატრონები იმის დამტკიცებას შეეცდებიან, რომ ჩემპიონებზე ძლიერები არიან.

ჟოზე მაურინიომ ზრდილობით მიულოცა ჩემპიონებს და ქომაგებს, მაგრამ ის მაინც ვერ ამოთქვა, ისინი წლეულს საუკეთესოები იყვნენო. „ჩელსიმ" ამ სეზონში „ოლდ ტრაფორდზე" მოიგო, შარშან ამ დროს კი „მანჩესტერი", რომელიც მდევარი იყო, 3:0 გაანადგურა საშინაო თამაშში. იმ მატჩში უეინ რუნიმ რიკარდუ კარვალიუსთან ორთაბრძოლისას ფეხი მოიტეხა. ახლა კი თავად კარვალიუა ფეხმოტეხილი.

ასეთია ფეხბურთელების ცხოვრება...

ორი დღეა, საზეიმო ინტერვიუებს იძლევა სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც თავიდანვე ამბობდა, „არსენალ" — „ჩელსის" არ ვუყურებ, გოლფის სათამაშოდ წავალო. მერე გაირკვა, რომ ფერგი შვილიშვილის თამაშს დასწრებია და „არსენალ" — „ჩელსის" ბოლო 15 წუთისთვის მაინც უყურებია.

ფერგიმ პირდაპირ ეთერში დიდი შამპანურის ბოთლის გახსნით იზეიმა ჩემპიონობა და თუმცა, იმ შამპანურით მხოლოდ შარვალი დაისველა, მაინც ძალიან ბედნიერი იყო. ხუმრობა არის? გუნდში 21-ე წელიწადს ატარებს და აქედან 9 საჩემპიონო იყო. თანაც, ის ყოველთვის შემოქმედებითი, გულიანი ფეხბურთის მიმდევარი იყო და ახლა ერთხელაც შექმნა ისეთი გუნდი, თავის საუკეთესო მატჩებს დაუვიწყარ მოგონებად რომ აქცევს.

„მანჩესტერს" 2003 წლის შემდეგ არ მოეგო პრემიერლიგა და ახლა გახარებული ფერგი აცხადებს, რომ არსადაც არ წავა და ამ ტიტულმა ახალი ენერგია შემატა.

ეს „მანჩესტერის" რიგით მეცხრე ჩემპიონობაა მის ხელში და შედეგი მართლაც დიდებულია.

წლევანდელ სეზონში ცხრილის პირველი საფეხური საკაბინეტო უთანხმოებებით და ახალშენაძენთა მოურგებლობით არეულ ლონდონის „ჩელსის" ბოლოს 16 ოქტომბერს ეკავა. ამის მიუხედავად, მაურინიუმ ბოლომდე სდია „მანჩესტერს", თუმცა ის ველარ მოახერხა, რომ დღევანდელი, აპრილის შუიდან გადმოდებული თამაში გადამწყვეტი შექმნილიყო.

ინგლისურ მედიას კი ალბათ ყელში ამოუვიდა მაურინიუს ვითომდა ღარიბ ლექსიკას ამოფარებული ცინიკური ინტერვიუები და სწორედ ამ მომენტს ელოდა. ამ დღეებში პრესა მას რას აღარ უწოდებს — ფეხბურთის მაკიაველიო, თერთმეტი ბულდოზერის პატრონი გაუპარსავი კაციო, ადამიანი, რომელსაც სილამაზემ გული არ შეუტოკაო. ხუმრობის იქით კი, ამბობენ, „მანჩესტერმა" წლეულს ყველაფერში მოუგო „ჩელსის", სიმამაცის გარდა.

დღევანდელი მატჩი საბრძოლო მხოლოდ იმდენადაა, რამდენადაც მაურინიუს და ფერგიუსონის ამბავი სათადარიგოთა გამოყვანის შემთხვევაშიც კი. თუმცა გუნდებს მთავარი ბრძოლა ახალ „უემბლიზე", თასის ფინალში ელით. მაურინიუ სწორედ იქ შეეცდება, თუ შეეცდება, იმის ჩვენებას, რომ „მანჩესტერს" სჯობს და უგებს კიდეც. უბრალოდ, სეზონში ფერგიმ აჯობა.

ჰოდა, „ჩელსი" თავის სიმამაცეს და ბულდოზერებს აამოქმედებს...

**ირაკლი გამყრელიძე**
**ლონდონიდან**



## ფული, ზაფხული, მანჩესტერი
## ჰარგრივსი ბაიერნში რჩება

**„მანჩესტერმა"** ოუენ ჰარგრივსის ყიდვა გადაიფიქრა, რადგან მიუნხენის „ბაიერნმა" ინგლისელი ფეხბურთელის ფასი გაზარდა.

ერთი თვის წინ კლუბები თითქოს მორიგდნენ 18 მილიონ გირვანქაზე, მაგრამ მიუნხენელებმა ახლა 20 მოითხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერს" საზაფხულო ტრანსფერებისთვის 50 მილიონი გამოუყვეს, კლუბი ზედმეტი 2-ის გადახდას არ აპირებს ჰარგრივსის სანაცვლოდ, რომელზეც შარშან ზაფხულიდან „ნადირობდა" — წერს „სანი".

„დეილი მირორის" ვერსიით კი, ალექს ფერგიუსონის სასურველ ფეხბურთელთა სიაში კვლავაც წერია ჰარგრივსის გვარი, ხოლო მეორე ნომერი დიმიტარ ბერბატოვია, ვისი გაშვებაც არა და არ უნდა „ტოტენჰემს".

სიაში არიან: მცველი გარეთ ბეილი („საუთჰემპტონი"), ნახევარმცველი სტივ სიდველი („რედინგი"), რობერტო ნანი (ლისაბონის „სპორტინგი") და ფორვარდი ფერნანდო ტორესი (მადრიდის „ატლეტიკო").

გარდა ამისა, ლაპარაკია 23 წლის მცველ ჟულიენ ფობერზეც, რომელიც „ბორდოში" თამაშობს და იმიტომ არ გადავიდა ამ ზამთარს „მილანში", რომ უკვე ნათამაშები ჰქონდა ჩემპიონთა ლიგაში.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ალარდაისის მზე და კაჭკაჭი

**„ნიუკასლის"** მწვრთნელად ალბათ სემ ალარდაისს დანიშნავენ და ეს ოფიციალურად მომავალი კვირის ბოლოს გაფორმდება.

„გარდიანის" ცნობით, „ბოლტონის" ყოფილი თავკაცი „კაჭკაჭებთან" სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ჯერჯერობით არც კლუბს და არც ალარდაისს ამის შესახებ სიტყვა არ დასცდენიათ, მაგრამ ინგლისურ მედიაში ეს გარიგება უკვე მოთავებულად მიაჩნიათ.

ალარდაისი ამჟამად ესპანეთში მზეს ეფიცხება. იგი ორი კვირის წინ „ჩელსისთან" მატჩის (2:2) შემდეგ თავისი ნებით გადადგა, ხოლო „ნიუკასლის" თავკაცი გლენ როოდერი შაბათს, „ბლექბერნთან" საშინაო 0:2-ის შემდეგ მოხსნეს.

## სიდველი დასწრებაზეა

**„სანის"** ცნობით, „ჩელსიმ" დაასწრო „ნიუკასლს" და, „რედინგის" ნახევარმცველი სტივ სიდველი დაიბევა, რომელიც სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება. ჩელსელები ბიჭს კვირაში 50 ათას გირვანქას სთავაზობენ, „ნიუკასლი" კი ათით ნაკლებს აძლევდა. „რედინგში" მისი ხელფასი 20 ათასია და უთხრეს, რომ მხოლოდ ხუთით მოუმატებდნენ, რაც ლონდონის „არსენალის" აღზრდილ ფეხბურთელს ჭკუაში არ დაუჯდა.

ჟოზე მაურინიუს სიდველი ფრენკ ლამპარდის შემცვლელად მიაჩნია, რომლის მომავალიც ჯერ გაურკვეველია და გამორიცხული არ არის, „ჩელსიდან" წავიდეს.

## სასისეო სიმაო

**„ლივერპული"** იმედოვნებს, რომ ჯიბრილ სისეს სიმაო საბროსაში გაცვლის. სისე „ლივერპულს" ეკუთვნის და შარშან „მარსელში" გაანათხოვრეს. მარსელელები მისით უკმაყოფილონი არიან, რადგან ვერც ბევრი გაიტანა და ფანებიც მოიმდურა. ფრანგს სეზონის ბოლოს კვლავ პრემიერლიგაში დაბრუნება სურს, მაგრამ ბენიტესი უარზეა. ამიტომაც ეძებენ ლივერპულელები სისესთვის გუნდს და ლისაბონის „ბენფიკას" მიადგნენ.

რაფაელ ბენიტესს სიმაოს გადაბირება დიდი ხანია, უნდა და ლისაბონელებს ჯიბრილ სისეს და 5 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

## რეინა: ფული მინდა!

**„ჩელსისთან"** ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩის გმირი ჰეპე რეინა „ლივერპულისგან" ჯამაგირის მომატებას ითხოვს.

ესპანელმა ორი პენალტი მოიგერია ჩელსელებისგან და გუნდი ფინალში გაიყვანა. რეინას აზრით, იგი მეტ ხელფასს იმსახურებს — წერს „ნიუს ოფ ზე ვორლდი".

ესპანელ მეკარეს ორწლიანი კონტრაქტი და წელიწადში 4 მილიონი გირვანქა უნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პრესა: ერიკსონი დინამოში დანიშნულაო...
## დინამო: ერიკსონი არსად დანიშნულაო

**ბრიტანული** „დეილი მირორი" ამტკიცებს, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა 10 დღის წინ კიევის „დინამოსთან" კონტრაქტი გააფორმა. ოფიციალურად კი, მისი დანიშვნის ამბავი 14 მაისს გაცხადდება.

შვედის ჯამაგირი წელიწადში 3 მილიონი ევრო იქნება (დღეში 8 300).

შედარებისთვის: ინგლისის ნაკრების მწვრთნელობისას დღეში მას 20 ათასი ევრო ჰქონდა.

სვენ გორან ერიკსონმა ინგლისს ვერაფერი მოაგებინა — ევრო 2004-ზეც და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზეც მისი გუნდი მეოთხედფინალში დამარცხდა.

გუშინვე კიევის „დინამომ" ოფიციალურად განაცხადა, ამ ეტაპზე ერიკსონის ჩვენს კლუბში დასაქმებაზე ლაპარაკი არარეალურიაო.

ვნახოთ...



**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

# დევიდ ბექემი

**ნახევარმცველი**

დაიბადა 1975 წლის 2 მაისს ლონდონში
სიმაღლე: 1,82 მეტრი
წონა: 75 კგ
კარიერა: 1992-2003 წლები — „მანჩესტერ იუნაიტედი" (266 მატჩი, 61 გოლი)
1995 წელი — „პრესტონი" (5 მატჩი, 2 გოლი)
2003 წლიდან — „რეალი მადრიდი" (94 მატჩი, 11 გოლი)
1996-2006 წლებში თამაშობდა ინგლისის ნაკრებში (94 მატჩი, 17 გოლი)






## FERRARI 550

გამოშვების თარიღი: 2003 წელი
სიგრძე: 4,549 მეტრი
სიგანე: 1,935 მეტრი
სიმაღლე: 1,278 მეტრი
წონა: 1 690 კგ
ცილინდრი: 12
ძრავის კუბატურა: 5,5
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 323 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,5 წამში
ფასი: 150 000 ევრო



## GMC YUKON
ფასი: 56 000 დოლარი



## TVR CERBERA
ფასი: 46 500 ევრო



## ASTON MARTIN DB7
ფასი: 96 000 ევრო



## RANGE ROVER
ფასი: 33 000 დოლარი



## HUMMER H2
| 15072 | შტურმი-ალტახი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15224 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | ტიროლი-გრაცერი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15225 | ჰერენვენი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | აარაუ-ციურიხი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15395 | ბეშიქთაში-ერჯიესი (ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | გრასჰოპერი-სიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15427 | რომა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15088 | შაფჰაუზენი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15428 | სევილია-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | სტ-გალენი-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15429 | ხეტაფე-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | იანგ ბოიზი-ლუცერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15432 | სტანდარდი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | სოშო-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15544 | სპარტაკი მ-ლოკომოტივი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | მარსელი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15555 | ტვენტე-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ნიცა-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15556 | უტრეხტი-როდა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | ბორდო-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15557 | ვიტესი-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ლილი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15558 | ვოლენდამი-როზენდალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ლორიანი-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ტრუა-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 | 15560 | სპარტა-ნაიმეგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | ვალენსიენი-სტ-ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 | | | | | |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი
### კაცები. ფინალი. პირველი მატჩი

8 მაისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზი

**სტუ-თელავი 35:29 თბილისი**

**სტუ-თელავი:** სამყურაშვილი, მსხვილიძე (გაიტანა 16 გოლი), გიორგი კობახიძე (5), ქობელაშვილი (4), ნიკოლაიშვილი (3), ბერძენიშვილი (2), ტალახაძე (2), ამირან ყიფიანი (1), მამია კობახიძე (1), ომარ ყიფიანი (1), გოგალაძე, სიგუა, ირაკლი ჩიქოვანი, გიორგი ჩიქოვანი

**თბილისი:** ანდრიაძე, სეთურიძე, წივწივაძე (15), ფარაჯევი (5), გელაშვილი (5), ლალანიძე (2), ქირია (1), ნატროშვილი (1), ფორაქიშვილი, ოსიყმაშვილი, ქუთათელაძე, სამარლანიშვილი, გრიშიკაშვილი

*მსაჯები:* ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

*დელეგატი:* მერაბ მეტრეველი



რატი მსხვილიძემ თბილისელებს 16 გაუტანა

# ჩემპიონის მსხვილი ფორა

**ჩემპიონატის** ორი საუკეთესო, ამასთან თანაბარძალოვანი გუნდის სუპერფინალურ დაპირისპირებაში ერთ-ერთი მხარის ამხელა უპირატესობით გამარჯვებას, ვფიქრობთ, ვერავინ ივარაუდებდა. მით უფრო, რეგულარული სამი მატჩის შედეგის მიხედვით, როცა კონკურენტებმა თითოჯერ მხოლოდ თითობურთიანი სხვაობით გაიმარჯვეს, ერთიც ფრედ დასრულდა.

ორი მოედნის მქონე „სტუ-თელავმა“, ეტყობა, ტაქტიკური მოსაზრებით, პირველი საოქრო-ვერცხლო თამაშის თელავის ნაცვლად თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის შეჩვეულ და ხელბედნიერ სარბიელზე ჩატარება არჩია და არც შემცდარა.

თუმც ჯერ იმაზე, რომ სუპერსაფინალო ვითარება აშკარად გაანელა ერთ-ერთი მსაჯის დაგვიანებამ (?!), რის გამოც ასეთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა თითქმის 15 წუთით გვიან დაიწყო.

საფინალო სასტვენს წინ გავუსწრებთ და ალვნიშნავთ, რომ არბიტრებს მატჩის სადავეები ხელიდან არ გაქცევიათ და თავიანთი შესაძლებლობების შესატყვისად, არცთუ ურიგოდ წარმართეს, თუმც, როგორც ყოველთვის ხდება, მათ მიმართ მაინც გამოითქვა საყვედურები.

ერთიც ვთქვათ მატჩამდელ სიტუაციაზე. ხუთი დღით ადრე კონკურენტთა თელავში შეხვედრისას ტექნიკოსების მწვრთნელმა ბექა ორჯონიკიძემ ზედმეტად ემოციურად გამოხატა თავისი უკმაყოფილება მსაჯებისა და ორგანიზაციული ხარვეზების გამო. შედეგად, სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია დაიმსახურა და გუშინდელ თამაშს შორიდან ადევნებდა თვალს.

პირველი ფინალური მატჩის გმირი გახდა ჩემპიონთა 19 წლის ლიდერი, 16 გოლის გამტანი რატი მსხვილიძე. ისიცაა სათქმელი, რომ ცაცია გიგანტს (204 სმ) მშვენივრად აუბეს მხარი უპირველესად, ჩინებული რეაქციის მეკარე გაგა სამყურაშვილმა, რომელმაც პირისპირ გასულ მოწინააღმდეგეთა უამრავი ნატყორცნი მოიგერია, აგრეთვე უზუსტეს პასებიანმა და კრიტიკულ ვითარებაში ხუთჯერ გამტანმა გიორგი კობახიძემ, რომელიც თანაგუნდელებმა მატჩის შემდეგ ხელშიც კი აიტაცეს.

დასაწყისი საქართველოს 16-გზის ჩემპიონ ტექნიკოსების იყო — მსხვილიძისა და დავით ნიკოლაიშვილის ორ-ორი ზუსტი გასროლით მეცხრე წუთისთვის სამბურთიანი, უპირატესობა მოიპოვეს — 4:1. მაგრამ მომდევნო სამწუთეულში უმთავრესად ჩემპიონატის მთავარ სნაიპერ გიორგი წივწივაძის მცდელობით, „თბილისი“ გავიდა წინ — 5:4. მერე მასპინძლებმა ხუთწუთიანი მონაკვეთი ასევე მშრალად — 4:0 მოიგეს და 8:5 დაწინაურდნენ. მომდევნო, ამგვარადვე არეულ პერიოდში თბილისელებმა იყოჩაღეს — 9:8. შემდეგ დაძაბული ბრძოლა შესვენებამდე გაგრძელდა.

ტაიმი „თბილისმა“ მოიგო — 16:14, შესვენების შემდეგ კი სწორედ რომ „რატის პერიოდი“ დადგა. ძირითადად, მისი მაღალ ნახტომში აუღებელი ტყორცნებით „სტუ-თელავი“ ხუთი ბურთით დაწინაურდა და „თბილისს“ მორიგი სპურტისთვის ძალა აღარ ეყო.

ტექნიკოს ჩემპიონთა დიდსხვაობიან გამარჯვებას ბოლო წამებზე წერტილი ვეტერანმა გიორგი ქობელაშვილმა დაუსვა. — 35:29.

საპასუხო, გადამწყვეტი თამაში 19 მაისს „თბილისის“ ტერიტორიაზე, ასკ-ს დარბაზში შედგება.

**გია ახალაძე**



## საქართველოს ჩემპიონატი
### ჰლეი ოფი. ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

# ავიამშენი გაზვიადდა
## ფინალი ძველია, ინტრიგა ახალი

8 მაისი. ვერის ბაღი

### ავიამშენი 3:0 თსუ

**თსუ 86:100 ავიამშენი**

*28:25 20:25 18:20 20:30*

**თსუ:** ბ. ბერიშვილი (9), ლეჟავა (10), მ. ბერიშვილი (7), იმნაძე (8), მათიაშვილი (13); შანიძე (11), მარხვაშვილი (9), ვეფხვაძე (4), ხეცურიანი (13), ფანჩულიძე (2)

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (6), ნიკოლაძე (8), ბარბაქაძე (26), ბაბიაშვილი (34), სუხიშვილი (3); კვიმსაძე (11), ი. ბერიშვილი (6), როდუმტა (6)

*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე

### აზოტი 3:0 დინამო

**დინამო 78:96 აზოტი**

*17:23 19:22 16:23 26:28*

**დინამო:** გულისაბედაშვილი (8), ნ. ნოზაძე (7), ლაფანაშვილი (27), გვიმრაძე (11), კოლუაშვილი (10); ბადრიძე (14), ფაიქრიძე (1), სიგუა, წერეთელი

**აზოტი:** გამყრელიძე (15), ტულუში (3), ბოისა (4), დიდია (14), უგრეხელიძე (10); ბერძენიშვილი (15), მალეშევიჩი (8), მინაშვილი (7), მარკოიშვილი (16), გოგობერიშვილი (4), ჭოჭუა, ლიპარტელიანი

*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

**ცოტა** თუ ელოდა, ფინალისტთა ვინაობა ასე ნაუცბადევად თუ გაცხადდებოდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა და ჯიუტი — შარშანდელის დარად, ჩემპიონობას ამჯერადაც „ავიამშენი“ და „აზოტი“ გაითამაშებენ.

თუკი „აზოტის“ 3:0 თავიდანვე ცხადივით იყო, მოქმედ ჩემპიონ „ავიამშენსა“ და თსუ-ს ჯახზე ძნელად თუ იტყოდა ვინმე, რომელიმე გუნდი სერიას მშრალი ანგარიშით მოიგებსო. ბრძოლა და დაძაბულობა, იცოცხლეთ, საკმარისად იყო, თუმც სამივე მატჩში გამარჯვებული ლევან მოსეშვილის გუნდი გამოვიდა და ტიტულის დაცვის უფლება მოიპოვა.

სერიის წინა შეხვედრების მსგავსად, მესამე ნახევარფინალურ დაპირისპირებაშიც ყველაფერი ბოლოს გადაწყდა, თუმც „ავიამშენმა“ გადამწყვეტ მომენტში ისეთ დონეზე ითამაშა, თსუ მხოლოდ საკუთარ თავს თუ გაამტყუნებს.

„ავიატორები“ ძალიან მობილიზებულნი, ერთ მუშტად შეკრულნი იყვნენ. მათ ამჯერად აკლდათ კაპიტანი და გუნდის ლიდერი ირაკლი ხოშტარია, რომელსაც ნახევარფინალების დაწყებამდე მამა გარდაეცვალა. ლიდერის არყოფნაში მოსეშვილის გუნდმა მტკიცე ხასიათი გამოაჩინა და მისი კალიბრის მეტოქეს სერია დამაჯერებლად, მატჩის წაუგებლად მოუგო.

„ავია“ გუნდურად თამაშობდაო, ვთქვით, მაგრამ იყო მომენტები, როცა მოსეშვილის სამწყსოს ერთიკაცი ასულდგმულებდა. ზვიად ბაბიაშვილი მაშინ ამოქმედდა, როცა სტუდენტებმა ხელი გამოიღეს და გასაქცევად მოიმართნენ. მეტ-ნაკლებად თანაბარი საწყისი მეოთხედის შემდეგ მოსეშვილმა საინტერესო ტაქტიკას მიმართა. ის თამაშის დასაწყისიდან უყურებდა თავისი მეფარეების ვაინაჩრობას, რომლებმაც სამწამიანი ვერ დაიპყრეს და „ავიას“ თავკაცმაც პირველი შესვენების მერე მოედანზე ასეთი ხუთეული გაამწესა: სამი ნომინალური გამთამაშებელი — გიორგი ნიკოლაძე და ტყუპი ბერიშვილები, რომლებიც ტანმაღალ ბაბიაშვილსა და როდუმტას პასებით ამარაგებდნენ. მათ ისეააწყვეს საქმე რომ ერთის გარდა სხვა მეტული აღარ სჭირდებოდათ. ბაბიაშვილმა რა აღარ ქნა — ბურთს ხსნიდა, ჭრიდა, აწვდიდა, თუმც ყველაზე უკეთ მისი ქულების კეთება გამოსდიოდა. მისთვის თსუ-ს ფარქვეშ ბარიერი ვერ მოინახა და ბაბიაშვილმა „ავიამშენის“ მეორე მეოთხედში მოპოვებული 25 ქულიდან 20(!) საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა.

ბაბიაშვილი მთელ მოედანზე ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში და საინტერესოა, თსუ-ს თავკაცმა მის შესაჩერებლად რატომ არ უხმო ტანმაღალ იმნაძესა და მათიაშვილს, რომლებმაც საწყისი მეოთხედი დამაჯერებლად ჩაითამაშეს.

ბაბიაშვილის ზეგავლენით „ავიამშენმა“ ჯერ ანგარიში გაათანაბრა და მერე ლიდერობაც მოიპოვა — 50:46. თსუ-მ ამაოდ მიმართა პრესინგს, რადგან „ავიატორები“ არც ამჯერად ჩაჭრილან დრიბლინგსა და პასობაში.



გუშინდელი მატჩის გმირი ზვიად ბაბიაშვილი

პირველი ტაიმის შემდეგ ბაბიაშვილს უკანახაზელებიც აჰყვნენ და „ავიამშენმა“ სოლიდურ უპირატესობას მიაღწია. მოსეშვილის ბიჭებმა მეორე ტაიმის საწყის 6 წუთში 14 უპასუხო ქულა ჩაუგდეს სტუდენტებს და 64:48 დაწინაურდნენ. ნუგზარ ჭეიშვილმა მთელი უკანა ხაზი შეცვალა და ახალი ძალა თსუ-ს ძალიან წაადგა. სტუდენტებმა თითქმის იგივე გაიმეორეს, რაც მანამდე მათმა მეტოქემ მოიმოქმედა — მომდევნო 3 წუთში 13:0 იმარჯვეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ მხოლოდ 4 ქულასღა აგებდნენ.

თსუ-ს კაპიტან შიო ხეცურიანს 4 პერსონალური დაჰგროვებოდა, მაგრამ მან მაინც აგრესიულად განაახლა თამაში და მიჯრით ჩაჭრილ-ჩაგდებული ბურთების მერე სტუდენტებმა ლიდერობასაც კი გამოჰკრეს ხელი — 77:76.

ამ ეპიზოდში მოედანზე არ იმყოფებოდნენ ბაბიაშვილი და ირაკლი ბერიშვილი, რომლებსაც „ავიატორთა“ თავკაცი გადამწყვეტი შეჯახებისთვის ინახავდა და ეს მომენტიც სირენამდე ექვსიოდ წუთით ადრე, თითქმის თანაბარი ანგარიშისას დადგა.

ბაბიაშვილს მკაცრი მეურვეობა დაუწესეს სტუდენტებმა, რიჩარდ მათიაშვილი თავს არ ირცხვენდა დაცვაში, მაგრამ თსუ-ს ლახვარი სხვა მხრიდან ჩასცეს. დავით ბარბაქაძემ, რომელიც მანამდეც ჩუბინობდა, მიჯრით რამდენიმე ბურთი ჩააგდო, რასაც პერიმეტრზე აწეულმა ბაბიაშვილმა სამქულიანი მიაბა — 90:83 სირენამდე ორწუთნახევრით ადრე.

ეს თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა, თუმც „ავიამშენს“ მოგება მალე გაუნაღდა ირაკლი ბერიშვილმა, რომელმაც სტუდენტების აცილებული განწირული სამქულიანის შემდეგ აუღელვებლად მიითვალა ორიანი და მოქმედ ჩემპიონთა ლიდერობამ ათ ქულას გადააბიჯა.

**ირაკლი პერტაია**

AFP დეტროიტიდან



ბენ ვოლესმა ძველ თანაგუნდელებს ვერ აჯობა

# ხარებმა მიადგუშეს

## აღმოსავლეთი

### დეტროიტი 2:0 ჩიკაგო

**დეტროიტი 108:87 ჩიკაგო**

**დეტროიტი:** პრინსი (25), ჰამილტონი (24 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ვებერი (22), ბილაფსი (14 ქულა, 10 პასი), ვოლესი (10)
**ჩიკაგო:** ტომასი (18), დენგი (16), ვოლესი (13), გორდონი (13), ნოჩიონი (12)

გამართლება-გაუმართლებლობა არაფერ შუაშია. ის ახალგაზრდული შემართება და შეუპოვრობა, რაც „მაიამისთან" ეყო, „ჩიკაგოს" აშკარად ვერაფერში ეხმარება „დეტროიტთან" და „პისტონზი" ყოველგვარი გართულება-დაძაბვის გარეშე უგებს „ჩიკაგოს" და ორი შინაური შეხვედრიდან ჯამში 47 ქულა ამოუღო.

„დეტროიტი" ჯერჯერობით დაუმარცხებელია პლეი ოფში — „ორლანდოს" ოთხივე თამაში აართვა. ჯერ ვერც „ჩიკაგოა" მისი მძლეველი და 2004 წლის ჩემპიონებმა მოგებათა სერია 6-მდე აიყვანეს.

„დიდი ხანია, ასე ფოკუსირებულები და მიზანმიმართულები არ ვყოფილვართ. თითქოს ვარჯიშზე ვართო, ისე იოლად ვიგებთ მატჩებს — ამბობს დეტროიტელი ფორვარდი ტაიშონ პრინსი — მაგრამ ჩვენ არ ვცხოვრობთ იმ ვარდისფერი ილუზიით, თითქოს ყველა თამაშში ასე ვისეირნებთ. ახლა სტუმრად გვაქვს ორი მატჩი და ეს გაცილებით რთული იქნება."

სხვა დროს შავი სამუშაოს შემსრულებელი პრინსი ახლა დეტროიტს ლიდერად და ბომბარდირად მოევლინა და ამან გვარიანადაც დააბნია ჩიკაგოელები. მაგრამ ეს მოგვიანებით იყო, დასაწყისში კი სტუმართა დაცვის დაწიოკება მაღალმა დეტროიტელებმა ითავეს. „ჩიკაგოს" დაცვაში თამაშით ქებული მეფარეები ჰყავს — ყოფილ დეტროიტელზე, 4-გზის სეზონის საუკეთესო დამცველ ბენ ვოლესზე რომ არაფერი ვთქვათ, ფარქვეშ მისი მეწყვილე ფიჯეი ბრაუნიც საიმედო კაცად ითვლება, მაგრამ ოპონენტებთან მათ სულ არაფერი გამოუვიდათ. რაშიდ ვოლესმა და კრის ვებერმა მეტოქეთა დუეტს მინი გაკვეთილი ჩაუტარეს — სამ შეტევაში 8 უპასუხო ქულა აძგერეს. ეს იყო და, „ჩიკაგოს" არც მისცემია რამის შეცვლის შანსი, საწყისი მეოთხედი 18:34 წააგო და მთელი თამაშის განმავლობაში ამაოდ იჯახირა.

დეტროიტულმა დაცვამ ჩაყლაპა „ჩიკაგოს" ყველა ლიდერი — ლუოლ დენგმა, ბენ გორდონმა, კირკ ჰაინრიხმა და ანდრეს ნოჩიონიმ ჯამში 36 სროლიდან 25 ააცილეს და ერთობლივად 43 ქულას თუ მოუყარეს თავი, მაშინ, როდესაც მწვრთნელი სკოტ სკაილზი საზოგადოდ მათგან ასე 70-75 ქულას ელის და ილებს კიდეც. ლიდერებს ისევ ჩიკაგოელი ახალბედა ტაირუს ტომასი სჯობდა — შეტევაში 13 ქულა გააკეთა, მაგრამ დაცვა აშკარად ჩააფლავა ბენ ვოლესმა, რომელმაც შებერებულ კრის ვებერს 26 წუთში 22 ქულის მოხვეჭის ნება „უბოძა".

PLAYOFFS 2007

# მეომრებმა ჯაზს ვერაფერი გაუგეს

## დასავლეთი

### იუტა 1:0 გოლდენ სტეიტი

**იუტა 116:112 გოლდენ სტეიტი**

**იუტა:** უილიამსი (31 ქულა, 8 პასი), ოქური (21 ქულა, 11 მოხსნა), ჰარპრინგი (21), ბუზერი (17 ქულა, 20 მოხსნა), კირილენკო (13 ქულა, 7 მოხსნა, 7 დაფარება)
**გოლდენ სტეიტი:** დევისი (24), რიჩარდსონი (21 ქულა, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (21), ბარნსი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჯექსონი (16)

**განსხვავებული** სცენარით წარიმართა დღის მეორე შეხვედრა. მრისხანე „დალასის" ვარიასავით შეხრამუნების შემდეგ ოქროსშტატელ „მეომრებს" აშკარად მოუვიდათ მადა და მეორე რაუნდშიც არ გვანან დამშეულ სტუდენტებს — იბრძვიან და იკბინებიან, ოღონდ ამ ჯერზე მათ მარცხი განიცადეს „იუტასთან".

უდაძაბულესი ჯახი, რომელშიც ბარე 20-ჯერ შეიცვალა ლიდერი, „გოლდენ სტეიტმა" იმის გამო წააგო, რამაც „დალასთან" გამარჯვება მოუტანა. „მეომართა" ბერმუხა სტრატეგმა დონ ნელსონმა გამარჯვებული გუნდი არ შეცვალა და „დალასის" დამტერორებელი დაბალი და მოძრავი ხუთეულით შევა „იუტას". ეს იყო მისი ტაქტიკური შეცდომა. ლამის ოთხი უკანახაზელით მოთამაშე სტეიტელები აშკარად იჩაგრებოდნენ ფარქვეშ. „ჯაზმენებმა" მოხსნებში 54:36 (!) დაჩაგრეს „მეომრები". განსაკუთრებით იპარპაშა მასპინძელთა ჯირკივით თავდამსხმელმა კარლოს ბუზერმა, ვინც მეტოქის ფარზე არც მეტი, არც ნაკლები, 10 ბურთი მოხსნა (ანუ თავისი გუნდის 10 შეტევა გადაარჩინა) და ერთი ამდენიც საკუთარ ფარზე მოიხვეჭა. ნელსონის ბიჭები შეტევაში ლაღად ბურთაობდნენ და იქ ანდრეი კირილენკოს დაფარებებს თუ არ ჩავთვლით, თავს გადასარევად გრძნობდნენ — ერთბაშად ოთხმა სტეიტელმა მოიხვეჭა 20 და მეტი ქულა, მაგრამ დაცვაში ისე უსუსურად ირჯებოდნენ, რომ ალალი იყო „იუტაზე" ეს გამარჯვება.

და მაინც, ყველაფერი ამ უხვქულიანი მატჩის ბოლო წამებზე გადაწყდა. 112:112 ანგარიშზე ბუზერმა თანაგუნდელ მეჰმეთ ოქურის აცილებული სამქულიანი მოხსნა და ორ ქულად აქცია. სტუმრებს გაუცუდდათ შემდეგი შეტევა — სტივ ჯექსონმა სამიანი ააცილა და მისიანები იძულებულები იყვნენ, მეტ ჰარპრინგზე დაჯარიმებულიყვნენ. ამანაც წყვილი საჯარიმოებით ბოლო წერტილი დასვა.

**კოტე ყორშია**



AFP სოლტ ლეიკ სიტიდან

კარლოს ბუზერმა ოქროსშტატელი მეომრები გადათელა

ჭიდაობა

# ერთი ხალიჩა სართიჭალაშიც დაიგო



**გუშინ** საქართველოს ნაკრების მოჭიდავეები, ჭიდაობაში მოტრიალე ხალხი და სპორტის დეპარტამენტის თავკაცობა სოფელ სართიჭალაში შეიკრიბა ახალი საჭიდაო დარბაზის გახსნის ცერემონიალზე. სტუმრებს ქვემო ქართლის გუბერნატორმა ზურაბ მელიქიშვილმა სართიჭალელი მოსახლეობა დაახვედრა. დარბაზის წინ ბავშვებმა საქართველოს ჰიმნი ცოცხლად შეასრულეს და დროშაც აღმართეს. მერე კი ლენტიც გაჭრეს და ერთხალიჩიან კოხტა დარბაზში სახელდახელოდ მინი-ტურნირიც მოეწყო ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეები საპატიო მედლებით და თასებით დააჯილდოვეს.

დამწყებ და უკვე აქტიურად მოვარჯიშე მოჭიდავეებს ლამის ყველა სტუმარი მიესალმა. ყველაზე სიტყვაუხვი კი ზურაბ მელიქიშვილი იყო:

„ჭიდაობისა და საერთოდ სპორტის განვითარებისთვის რეგიონში რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, რადგან ვიცით, რომ ამ საქმით მომავალში სერიოზულ მოსავალს მოვიმკით. დასაწყისისთვის პრიორიტეტად სართიჭალა იმიტომ ავირჩიეთ, რომ სწორედ აქ გადადგეს პირველი ნაბიჯები საქვეყნოდ ცნობილმა ვარსკვლავებმა, მსოფლიოს ჩემპიონმა გურამ გედეხაურმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრე დოხტურიშვილმა და ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ხვიჩა ბიჩინაშვილმა. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში არც ერთი მათგანი არაა და ჭიდაობით დასაინტერესებლად და მეტი სტიმულისთვის სხვა მოქმედი ტიტულუხვი სპორტსმენები ჩამოვიყვანეთ. იმედია, ახალ დარბაზში ახალი თაობა გაიზრდება და არცთუ შორეულ მომავალში ეს თაობაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს."

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4134 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3388 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2776 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2655 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2505 |
| 6. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2327 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2294 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1957 |
| 9. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1903 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 1863 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1829 |
| 12. სერენა უილიამსი (აშშ) | 1770 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1616 |
| 14. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1582 |
| 15. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1508 |
| 16. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1506 |
| 17. ტატიანა გოლოვინი (საფრანეგთი) | 1390 |
| 18. ნა ლი (ჩინეთი) | 1381 |
| 19. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1337 |
| 20. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1253 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1555 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1531 |
| 3. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1325 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1061 |
| 5. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1036 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1030 |
| 7. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 986 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 937 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 920 |
| 10. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 865 |
| 11-13. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 851 |
| 11-13. დინარა საფინა (რუსეთი) | 851 |
| 11-13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 851 |
| 14. შაჰარ პირი (ისრაელი) | 827 |
| 15. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 825 |
| 16. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 816 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 742 |
| 18. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 637 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 600 |
| 20. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 590 |

# მელიქიშვილის სულ დაბლა, დაბლა

**მცირედი** დაგვიანებით თავისი ახალი რეიტინგები ჩოგბურთელ ქალთა ასოციაციამაც გამოაქვეყნა. კლასიფიკაციაში კვლავაც თერთმეტი ჩვენებურია, რომელთა პოზიციებსაც, ერთი გამონაკლისის გარდა, ბოლო კვირაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდიათ. ეს ერთი გამონაკლისი კი სოფო მელიქიშვილია, ვინც შარშან მესამე ასეულში იმყოფებოდა, მაგრამ წლეულს წარუმატებლად თამაშობს, შარშან მოპოვებული ქულების დაცვას ვერ ახერხებს, რეიტინგში პერმანენტულად უკან იხევს და აგერ, ახლაც 79 პოზიცია დაკარგა და უკვე მეექვსე ასეულის შუაში, 543-ე ადგილზეა.

| | | |
|---|---|---|
| 152 (0) | მაკა ჩახნაშვილი | 199,5 |
| 332 (+3) | ანა ტატიშვილი | 60,75 |
| 527 (-7) | სალომე დევიძე | 27,25 |
| 543 (-79) | სოფო მელიქიშვილი | 26,0 |
| 694 (-6) | სოფო შაფათავა | 15,25 |
| 769 (+1) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 814 (+2) | მანანა შაფაქიძე | 10,25 |
| 917 (-2) | ოქსანა კალაშნიკოვა | 7,5 |
| 1066 (+2) | თეონა ცერცვაძე | 5,25 |
| 1183 (+3) | სოფო ქვაცაბაია | 4,0 |
| 1310 (+7) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |

# სერბმა შაფა-დერბი ჩაშალა




**თურქეთის** ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიის მაგარსაფარზე მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში სამი ქართველი ჩოგბურთელი ითამაშებს. სოფო შაფათავამ, თინა ყაულაშვილმა და მანანა შაფაქიძემ წარმატებით დაძლიეს საკვალიფიკაციო ეტაპი და ახლა მთავარი პრიზისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

კვალიფიკაციის მესამე წრეში შაფათავამ იოლად — 6:4 6:2 აჯობა 18 წლისა და რეიტინგში 827-ე ადგილზე მყოფ ბელარუს ვიოლა დუკოს. შაფაქიძემ ასევე ორ სეტში — 6:4 7:5 მოუგო კლასიფიკაციის 730-ე ნომერს, ბულგარელ დესისლავა მლადენოვას. რაც შეეხება ყაულაშვილს, ვინც ამ სამი წლის წინ 570-ე იყო WTA-ს რეიტინგში, მისი მეტოქე მეორე ქართველი ჩოგბურთელი სოფო ქვაცაბაია იყო და ჩვენებურთა დუელში თინამ სოფოს 6:4 6:3 აჯობა.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ყაულაშვილის მეტოქე სერბი ანა ვესელინოვიჩი იყო, ვისაც რეიტინგში 432-ე პოზიცია უჭირავს. შაფათავა მეორე სერბს, კლასიფიკაციაში 272-ე ადგილზე მყოფსა და ანთალიაში მე-3 ნომრად განთესილ ვოიასლავა ლუკიჩს შეხვდა, ხოლო შაფაქიძე რეიტინგის 482-ე საფეხურზე მყოფ ბრიტანელ ანა სმიტს დაუპირისპირდა.

თუ შაფათავა და შაფაქიძე მეორე წრეში გავიდოდნენ, იქ ერთმანეთს შეხვდებოდნენ და ანთალიაში მეორე ქართულ დერბის მივიღებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა — ლუკიჩმა შაფათავას 6:3 6:3 მოუგო და ახლა ამ სერბს, სწორედ შაფაქიძე შეხვდება, რომელმაც სმიტი სამ სეტში — 6:4 4:6 6:3 დაამარცხა.

სერბულ ბარიერს ვერც ყაულაშვილი გაცდა — ვესელინოვიჩმა ჩვენებურს 6:4 6:3 აჯობა.

# დარჩა ერთი ანა

**ამერიკაში**, ფლორიდის შტატის ქალაქ ინდიან ჰარბორ ბიჩის თიხნარზე მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის მონაწილეთა შორის ერთი ქართველი — ანა ტატიშვილიღა დარჩა, რომელმაც ამერიკელი ჩელსი პრევის ძლევის შემდეგ მეორე მასპინძელს, ოდესღაც, შორეულ 1996 წელს რეიტინგის 43-ე საფეხურზე მყოფ, ახლა კი 473-ე ადგილამდე დაქვეითებულ სიდნი ლი-უოტერსს ტრაგის მსგავსად 6:2 6:2 მოუგო და ახლა, საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე, გადამწყვეტ შეხვედრაში 20 წლისა და კლასიფიკაციაში 381-ე ადგილზე მყოფ კანადელ ეკატერინა შულაევას შეხვდება.



კვალიფიკაციის პირველ წრეში დამარცხებული სოფო მელიქიშვილის ბედი მოგვიანებით სალომე დევიძემაც გაიზიარა. სალომემ ახალზელანდიელ შონა ლის 6:3 6:3 კი აჯობა, მაგრამ შემდეგ კვალიფიკანტთა პირველ ნომერთან, რეიტინგში 274-ე ადგილზე მყოფ ბრიტანელ ნაომი კავედესთან უთმელოდ — 2:6 1:6 დამარცხდა.

# რა დაგიშავე?

## რაფამ როჯერს თიხა შეაძულა

### მასტერსი. რომი. იტალია. თიხნარი

საპრიზო 2 200 000 $

**პირველი წრე**

ტომაშ ბერდიხი (12, ჩეხეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:4 7:5; ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 3:6 6:1 7:6; ხოსე აკასუსო (არგენტინა) — მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია) 6:3 7:5; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — მარდი ფიში (აშშ) 6:4 6:4; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — გაელ მონფილსი (საფრანგეთი) 7:6 6:3; დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:6 3:6 6:1; ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 3:6 7:6 6:1; გილერმო კანასი (არგენტინა) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:5 6:2; ჟილ სიმონი (საფრანგეთი) — ენდი მიურეი (10, ბრიტანეთი) 6:1 1:6 6:3; ხუან კარლოს ფერერო (16, ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 3:6 6:1 6:4; პოტიტო სტარაჩე (იტალია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3 6:1; მარატ საფინი (რუსეთი) — ამერ დელიჩი (აშშ) 2:6 6:3 6:4; რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:3 6:3; მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:2 6:3; რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — ტომი ჰაასი (11, გერმანია) 6:3 3:2 (უარი); დანიელე ბრაჩიალე (იტალია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:5 7:6

**მეორე წრე**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:3 6:4

### ქალები

ბერლინი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

ტატიანა მალეკი (გერმანია) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:1 6:3; ნა ლი (14, ჩინეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:1 3:6 6:1; შუაი პენგი (ჩინეთი) — ანდრეა პეტკოვიჩი (გერმანია) 6:3 7:5; მარტინა მიულერი (გერმანია) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:0 6:2; შაჰარ პირი (13, ისრაელი) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 6:1 6:2; ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) — მარა სანტანჯელო (იტალია) 4:6 6:1 6:4; მეგან შონესი (აშშ) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 7:6 6:2; სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) — საბინა ლისიცკი (გერმანია) 6:2 6:1; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 7:5 3:6 6:1; ანა ივანოვიჩი (12, სერბეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:2 6:1; კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) — კაია კანეპი (ესტონეთი) 5:7 7:6 6:2; ლურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:2 6:1; ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:3 6:7 6:0; ანა ჩაკვეტაძე (9, რუსეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 3:6 7:6 7:6; მეილენ ტუ (აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (16, სლოვენია) 6:3 4:6 6:3; იულია ვაკულენკო (უკრაინა) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:3 6:2; ძი იანი (ჩინეთი) — კრისტინა ბაროისი (გერმანია) 4:6 6:3 6:2



ლეიტონ ჰიუიტი თამაშის იმტაზე ჭერაც ვერ მოვიდა

AFP ფოტოები

**რაფაელ ნადალმა** კიდევ ერთხელ გაამწარა როჯერ ფედერერი, თან ისევ თიხნარზე. ეს ამბავი რომის მასტერსზე მოხდა. ოღონდ ამჯერად საუბარი წყვილთა თანრიგის პირველი წრის მატჩზე გვაქვს — ერთეულთა შორის კი იტალიის დედაქალაქში ეს ჯახი ჯერ არ შემდგარა, მაგრამ ამ ორის სათამაშო ფორმას თუ გავითვალისწინებთ, ეს სიამოვნება წინ გველის. ამ მატჩში თანამემამულე კარლოს მოიასთან ერთად რაფა საკმაოდ ადვილად გაუმკლავდა ფედერერ-სტანისლას ვავრინკას შვეიცარიულ წყვილს (6:4 7:5) — მოკლედ, ისე ჩანს, რომ ერთეულებში თუ წყვილებში, „მხიარულ როჯერს" არ უწერია ესპანელის თიხნარზე დამარცხება და ალპელი ამაზე მალე, ალბათ ხელს საბოლოოდ ჩაიქნევს.

ამასობაში ფედერერმა ერთეულთა შორისაც გამართა პირველი შეხვედრა და თიხნარის სპეციალისტად შერაცხული ნიკოლას ალმაგრო ისე იოლად დასცა, რომ უკვე მერამდენედ გაუხდა სანანებლად ნადალის არსებობა — რაფა რომ არა, შვეიცარიელის გამკავებელი არც გრუნტზე გამოჩნდებოდა ვინმე.

სხვა მხრივ რომაულ კორტებზე ბევრი ფავორიტი დაარჩოქეს. ამათგან უმთავრესი ენდი მიურეის წაგებაა, რომელიც თიხნარს ჯერჯერობით ვერანაირად ვერ ეგუება და ამ საფარზე კარგი შედეგებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. რომში კი, ახალგაზრდა შოტლანდიელს ჟილ სიმონმა გამოუყვანა წირვა.

აი, ტომი ჰაასს კი სულაც არ დასცალდა თამაში და ტრავმის გამო მოუწია მატჩის შეწყვეტა. მართალია, გერმანელი განსკუთრებით არც მანამდე ჩაუქობდა და რადეკ შტეპანეკთან ისედაც აგებდა, მაგრამ ამ ტრავმის გამო ახლა გასამართლებელი საბუთი მაინც ექნება.

ფავორიტებს შორის, მით უმეტეს, როცა გრუნტზე მიდგება საქმე, ლეიტონ ჰიუიტს სულ უფრო იშვიათად მოიხსენიებენ, მაგრამ ოზი ბიჭის გამოსვლებს მაინც განსაკუთრებით ადევნებენ თვალს. ოღონდ ავსტრალიელს ახლა ნამდვილად ზედმეტი მოუვიდა და თითქმის უცნობ ესპანელ ერნანდესთან დამარცხდა.

გამოვყოთ მარატ საფინის გამარჯვებაც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გოლიათ რუსს კარგა ხანია მოგების გემო არ გაესინჯა. მეორეც, საფინმა ამ გამარჯვებით ნიკოლაი დავიდენკოსთან ჯახი გამოიწერა — რუსული დერბი კი საინტერესო სანახავი უნდა იყოს.

**ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲣᲠᲘᲚᲘ**

# პლეი ოფი. მეორე წრე

# ბებკოკის კოკა ვერც ზვიგენმა გატეხა

## დასავლეთი

**დეტროიტი 4:2 სან ხოსე**

მეექვსე მატჩი

სან ხოსე 0:2 დეტროიტი

*0:2 0:0 0:0*

0:1 სამუელსონი (16, ფრანცენი, ჩელიოსი), 0:2 სამუელსონი (20, დაციუკი, ჩელიოსი)



**სერიის** დაწყების წინ „დეტროიტს“ სპეციალისტების უმრავლესობა შანსს არ უტოვებდა — მათი აზრით, „სან ხოსე“ ძალიან ახალგაზრდა, სწრაფი და ფიზიკურად მძავლრი გუნდი იყო საიმისოდ, რომ მიჩიგანელები მათ გამკლავებოდნენ. მაგრამ მაიკ ბებკოკის მიერ კარგად გამართული დაცვითი თამაშით, წელებზე ფეხების დადგმითა და კრიჭის შეკვრით, „წითელფრთიანებმა“ სერიის სათავისოდ შემოტრიალება შეძლეს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი სერიის საწყისი ოთხი მატჩია, სადაც „სან ხოსე“ თითქოსდა მართლაც ჯაბნიდა მეტოქეს. „დეტროიტმა“ კი მხოლოდ ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე მოახერხა ამ ოთხიდან ორი მატჩის მოგება, თან ორჯერვე ორშაიბიანი დეფიციტის აღმოფხვრა შეძლო ამის შემდეგ მიჩიგანელებს პრობლემა აღარ ჰქონიათ — ეს სამიოდ დღის წინაც დამტკიცდა, როცა „რედ უინგსმა“ მშობლიურ კედლებში გადაურბინა მეტოქეს.

სერია სან ხოსეში დამთავრდა, სადაც „დეტროიტმა“ თავისი ვეტერანების დიდებული თამაშის წყალობით „ზვიგენებს“ კბილებიც დაამრო და ფარფლებიც მოაწყვიტა. განსაკუთრებით გამოსაყოფია უბერებელი, 45 წლის კრის ჩელიოსი — იმის მაგივრად, რომ სახლში იჯდეს და შვილიშვილებს ზრდიდეს, „ჩელი“ ძველებურად ირჯება და გუნდისთვის განსაკუთრებით სარგებლიანი რჩება. ჩვეულად ბრწყინვალეა კაპიტანი ნიკლას ლიდსტრიომი, რომელმაც ამ პლეი ოფში თითქმის მთლიანად ამოკეტა უკვე ორი გამორჩეული ბომბარდირი — ჯერ „კალგარელი“ ჯერომ იგინლა, ახლა კი ჯო ტორნტონი.

ასე რომ, სტენლის თასის ნახევარფინალში ერთმანეთს რეგულარული ჩემპიონატის შედეგებით დასავლეთ კონფერენციის ორი საუკეთესო გუნდი დაეტაკება — სერია პარასკევს დეტროიტში დაიწყება, სადაც „ანაჰაიმელ იხვებს“ მოუთმენლად ელიან.

### პლეი ოფის ნახევარფინალის განრიგი

**აღმოსავლეთი**

ბუფალო — ოტავა

10, 12, 14, 16, 19, 21, 23 მაისი

**დასავლეთი**

დეტროიტი — ანაჰაიმი

11, 13, 15, 17, 20, 22, 24 მაისი

პირველი-მეორე და საჭიროების შემთხვევაში მეხუთე და მეშვიდე მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე

# მსოფლიოს ჩემპიონატი

მოსკოვი, რუსეთი. 27 აპრილი — 13 მაისი

# ჩეხი რუსს რიგას ახსენებს

**მეოთხედფინალების** დრო დადგა მოსკოვში მიმდინარე ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატზე. უკვე მიილია ორი ჯგუფური ეტაპი და რვა საუკეთესო ნაკრების ვინაობა გაირკვა, რომლებიც ახლა ერთმანეთში გაარკვევენ პლანეტის უძლიერესის ვინაობას.

ჯერჯერობით საუკეთესო შთაბეჭდილებას ორი ნაკრები ტოვებს — მასპინძლები და კანადელები, რომლებსაც ჯერ არც ფრედ უთამაშიათ და არც მარცხის სიმწარე უგემიათ. მათ თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს. ოღონდ ეგაა, რომ კანადელებს გაცილებით უფრო გაუმართლათ, რადგანაც მეოთხედფინალში მეტოქედ შემორჩენილი ნაკრებებიდან აშკარად უსუსტესი შვეიცარია ერგოთ. აი, რუსებს კი ყველაზე უხერხული მეტოქე, შეიძლება ითქვას, ისტორიული მტერი, ჩეხეთი დაეტაკა. მართალია, ჩეხები მოსკოვში ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ და ჩემპიონატის მთავარი სენსაციის შემქმნელნიც შეიქნენ, როცა გერმანელებთან წააგეს, მაგრამ მეოთხედფინალში უეჭველად მოუმატებენ და მასპინძლების კიდევ ერთხელ გამწარებას უცილობლად ეცდებიან — აკი შარშანაც, ლატვიაში, სწორედ ამ ეტაპიდან დაიფრინეს რუსები.

დანარჩენ ორ მეოთხედფინალში გაცილებით თანაბარი წყვილებია — განსაკუთრებით აშშ-სა და ფინეთის შეხვედრა იქნება თვალსასეირო. ფავორიტად აქ სუომელები მოჩანან, რომლებმაც ოკეანისგაღმეთიდან საკმაოდ კარგი შევსება მიიღეს გამოცდილი იერი ლეჰტინენისა და ძალიან კარგ კიპერ კარი ლეჰტონენის სახით. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არც ახალგაზრდა იანკები არიან რამის დამთმობები.

მოქმედი ჩემპიონი შვედეთი კი სლოვაკეთს დაეჯახება. ამ ჩემპიონატზე უკეთესად სკანდინაველები გამოიყურებოდნენ, მაგრამ არც სლოვაკი ვეტერანების დავიწყება ეგების — მარიან გაბორიკის, მარიან ჰოსას, პავოლ დემიტრასა და ზდენო ხარას წინამძღოლობით, მათ ფინალამდე სვლაც თავისუფლად შეუძლიათ.

**ბაჩა ლომაშვილი**

**E ჯგუფი**

შვედეთი 2:4 რუსეთი

*1:1 1:1 0:2*

1:0 ტერნბერგი (9), 1:1 მოროზოვი (18), 1:2 გრებეშკოვი (24), 2:2 სტინი (39), 2:3 მალკინი (50), 2:4 მოროზოვი (57)

იტალია 2:5 დანია

*0:3 2:0 0:2*

0:1 ტრანპოლმი (4), 0:2 რეგინი (5), 0:3 ნილსენი (7), 1:3 დე ბეტინი (31), 2:3 რამოზერი (36), 2:4 ოლსენი (50), 2:5 კრისტენსენი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 0 | 0 | 0 | 27:10 | 15 |
| შვედეთი | 4 | 0 | 0 | 1 | 21:7 | 12 |
| ფინეთი | 3 | 0 | 0 | 2 | 15:8 | 9 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 3 | 9:16 | 6 |
| დანია | 1 | 0 | 0 | 4 | 11:26 | 3 |
| იტალია | 0 | 0 | 0 | 5 | 4:20 | 0 |

**F ჯგუფი**

ბელარუსი 5:6 გერმანია

*2:3 2:1 1:2*

1:0 მელეშკო (2), 1:1 ჰაკერტი (6), 1:2 ბარტა (13), 1:3 დიტრიხი (18), 2:3 კულაკოვი (19), 2:4 ფელსკი (26), 3:4 დუდიკი (27), 4:4 კოლცოვი (34), 4:5 ვოლფი (46), 5:5 კოსტიუჩენოკი (53), 5:6 ვოლფი (54)

კანადა 6:3 აშშ

*4:0 1:2 1:1*

1:0 მაკლემენტი (1), 2:0 კამალერი (3), 3:0 ლომბარდი (13), 4:0 კამალერი (14), 4:1 შნასტნი (30), 5:1 ლომბარდი (36), 5:2 სტემპნიაკი (38), 6:2 ლომბარდი (52), 6:3 შნასტნი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 4 | 1 | 0 | 0 | 24:15 | 14 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 2 | 18:13 | 9 |
| სლოვაკეთი | 3 | 0 | 0 | 2 | 18:15 | 9 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 2 | 17:14 | 7 |
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 3 | 11:16 | 6 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 0 | 5 | 14:29 | 0 |

**მეოთხედფინალი**

რუსეთი — ჩეხეთი

შვედეთი — სლოვაკეთი

კანადა — შვეიცარია

აშშ — ფინეთი

**G ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 1 | 14:8 | 6 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 1 | 12:9 | 5 |
| ავსტრია | 1 | 0 | 1 | 1 | 10:12 | 4 |
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 2 | 7:15 | 3 |

ავსტრია და უკრაინა უმაღლესი ლიგიდან გავარდნენ. გაისად მათ ადგილს საფრანგეთი და სლოვენია დაიკავებენ

შენიშვნა: I გრაფა — მოგება (3 ქულა); II გრაფა — ოვერტაიმში მოგება (2 ქულა); III გრაფა — ოვერტაიმში წაგება (1 ქულა); IV გრაფა — წაგება (0 ქულა); V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულა





# ყველაფერს ვიტყვი!

## ივან ბასო სასამართლოსთან თანამშრომლობას დათანხმდა

**ტურ დე ფრანსის** 2006 წელს მომგებმა ფლოიდ ლენდისმა პრაქტიკულად დაკარგა ეს ტიტული. იან ულრიხი სულაც წავიდა ველოსპორტიდან. სხვა ნაკლებცნობილი მრბოლების ტანჯვაწვალება და სასამართლოებში თუ ლაბორატორიებში სირბილი ხომ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბად იქცა. გასულ ზაფხულში აგორებულმა დოპინგსკანდალის ცუნამმა ლამის მთლიანად წალეკოს ველოსპორტი. ბევრმა დაკარგა ნდობა სპორტის ამ სახეობის მიმართ, ამბობენ — ვინც პედლებს ატრიალებს, მაგათში კეთილსინდისიერი არავინაა, ყველა დოპინგზე ზისო.

დღემდე ბურუსითაა მოცული ეგრეთ წოდებული ფუენტესის საქმე. ეს იყო ესპანელი ექიმი, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ველომრბოლებს უხვად ამარაგებდა აკრძალული პრეპარატებით და ყველა, ვინც მასთან თუნდაც ზედაპირულ ურთიერთობაში იყო შემჩნეული, ჩართული აღმოჩნდა საშინელ და დაუსრულებელ სასამართლო პროცესში, რომელიც აგერ 10 თვეა, გრძელდება.

სასამართლოში ხშირ-ხშირად სირბილი უწევს თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მრბოლ ივან ბასოსაც, რომელიც შარშანდელი ჯირო დიტალიას ჩემპიონია. წლეულს კი ის ვერ დაიცავს ტიტულს, რადგან კიდევ უფრო ხშირად მოუწევს იმ კედლებში სიარული, რომელშიც თავს ასე საშინლად გრძნობს.

როგორც ჩანს, ბასო იმდენად შეაწუხა სასამართლო წნეხმა, რომ გუშინწინ მან გამოძიებასთან თანამშრომლობაზე თანხმობა „ამოღერღა“. აქამდე მთელი ეს ათი თვე იმიტომ დადიოდა სასამართლოში, რომ დამკითხველის ჩამჭრელი კითხვები აერიდებინა და დოპინგთან ან დოპინგით წამურდლულ ყველა ადამიანთან კავშირი უარეყო.

„ბასოს სასამართლოსთან თანამშრომლობისკენ სპორტის ამ სახეობის სიყვარულმა უბიძგა — ასეთ კომენტარს აკეთებს მისი ადვოკატი მასიმო მარტელი — ერთად ამდენის გადატანის შემდეგ მე და მან ერთმანეთის თვალებში ჩავხედეთ და ეს გადაწყვეტილება მივიღეთ. მანამდე ის აშკარად ნერვიულობდა, ადგილს ვერ პოულობდა. ჩანს, მუდმივად აწუხებდა რაღაც და ახლა ამის ამოთქმის შანსი გაუჩნდა.“

რას იტყვის ბასო? ვის „ჩაუშვებს“? ვის ჩაითრევს ამ მორევში? დღეს ეს არავინ იცის, ვინც ამ პროცესს გარედან უყურებს.

ცნობილი იტალიელი მრბოლი, ფლეშ-ვალონის კლასიკური რბოლის მომგები დავიდე რებელინი კი ამბობს — რაკი ბასო ჯიროზე არ იქნება, ამით რბოლის მეტი ინტრიგა მიეცემა, ძველ ჩემპიონებს — სავოლდელის, სიმონის, კუნეგოს და სხვებს ერთმანეთის ძლევის შანსი უფრო აქვთ, ვიდრე ბასოსიო...

აი, ასე „სარგებლობს“ ველომრბოლთა ეს ფორიაქა სამყაროს საუკეთესო წარმომადგენლების წაბორძიკებით.

**ბოტე ყორშია**

# ასტურიული ხილი




**„სონი დიუვალის“** ესპანელი მრბოლის კოლდო ხილის გამარჯვებით დასრულდა რიგით 51-ე, ხუთეტაპა „ასტურიის ვუელტა“.

ესპანეთის ჩრდილოეთი პროვინციის გზებზე წლეულს მშვენიერ ფორმაში მყოფმა კოლდომ ჯამური 812 კილომეტრის გავლას 19 საათი, 41 წუთი და 56 წამი მოანდომა და 11 წამით აჯობა თავისივე თანაგუნდელსა და თანამემამულეს ალბერტო ფერნანდეს დე ლა პუეგას.

„ასტურიის ვუელტა“ „პრო-ტურის“ სერიაში არ შედის და ბუნებრივია, „ტურის“ გენერალურ კლასიფიკაციაში არაფერი შეცვლილა.

სამ დღეში კი „ჯირო დიტალია“ იწყება — სეზონის სამი უმთავრესი სამკვირიანი რბოლიდან პირველი და ველოქომაგთა ყურადღებაც აპენინის ნახევარკუნძულისკენ გადაერთვება.

## M-TEL MASTERS-ის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 9-20 მაისი

# მე ქომაგებს გავახარებ!

### ვესელინ ტოპალოვს კედლების ეიმედება



**9-დან 20-მაისამდე** სოფია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერეს, M-Tel Masters-ის ტურნირს უმასპინძლებს. გათამაშება მესამედ ტარდება და მისი ხელმძღვანელი, როგორც ყოველთვის, სილვიო დანაილოვი იქნება. ტურნირს საინტერესო დებულება აქვს. მოჭადრაკეებს თამაშისას ერთმანეთთან ლაპარაკი და ყაიმის გამოცხადება ეკრძალებათ. ზავს მხოლოდ არბიტრი ჩამოაგდებს მაშინ, როდესაც თამაშის ყველა რესურსი ამოწურული იქნება.

სუპერტურნირზე ექვსი დიდოსტატი მონაწილეობს: ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, ამერიკელი გატა კამსკი, ინგლისელი მაიკლ ადამსი, აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი, რუმინელი ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ და ინდოელი კრიშნან საშიკირანი.

გათამაშების ფავორიტი მასპინძელი ტოპალოვია. ბულგარელმა სტომატოლოგმა M-Tel Masters-ის წინა ორივე გათამაშება მოიგო და ახლაც დიდ გულზეა. ბოლო დროს მსოფლიოს ექსჩემპიონმა საგრძნობლად მოუკლო და ფიდეს რეიტინგში პირველი ადგილი დაკარგა.

„შინაურ კედლებში ვთამაშობ და იმედია, გულშემატკივრებს გავახარებ, ყველაფერს გავაკეთებ და ამ ტურნირს კიდევ ერთხელ მოვიგებ" — განაცხადა ტოპალოვმა.

ფავორიტებშია კამსკიც. ამერიკელმა მოჭადრაკემ შარშანდელ ტურნირზე კარგად დაიწყო თამაში, თუმც ბოლოს შეცდომები დაუშვა და გამარჯვებაც დაკარგა. მიუხედავ ამისა, გატა იმედს არ კარგავს და კონკურენტებს არ უფრთხის.

„მალე ეს ტურნირი კიდევ უფრო პოპულარული გახდება და დანარჩენ სუპერტურნირებს დაჩრდილავს. იმედი მაქვს რომ სხვა დიდოსტატებიც შემოგვიერთდებიან და გათამაშება უფრო ძლიერი გახდება" — განაცხადა ამერიკელმა.

სოფიაში ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილიც იმყოფება. ქართველი დიდოსტატი იქ არბიტრების მრჩეველი იქნება.

**ლაშა გეგეჭკორი**






**ორშაბათს** ლას ვეგასში, საკუთარ სახლთან ახლოს ავტოკატასტროფაში დაიღუპა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პირველ მსუბუქ წონაში დიეგო კორალესი. კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი ნოკაუტის შემოქმედი მუშტის მჭრეველი ადრენალინის მომმატებელი განცდების სიყვარულმა შეიწირა.

კორალესი სპორტის ექსტრემალური სახეობების დიდი თაყვანისმცემელი რომ გახლდათ, კარგად იყო ცნობილი. ამ კაცს რინგს მიღმა არაერთი სიგიჟე ჩაუდენია და, როგორც ჩანს, თავის მორიგ ტრიუკს შეეწირა. ზუსტად ჯერ არაფერია დადგენილი, მაგრამ ცნობილია, რომ კორალესი თავის მოტოციკლეტს ძალიან მაღალი სიჩქარით მიაქანებდა, როცა წინ მიმავალ „ჰონდას" მარკის ავტომობილს შეასკდა და ძირს დანარცხებული შემხვედრი მიმართულებით მოძრავი „მერსედესის" ქვეშ აღმოჩნდა.

საკუთრივ კორალესი ისტორიას თავისი უკვე ლეგენდად ქცეული ბრძოლით შემორჩება, როცა 2005 წლის 7 მაისს ხოსე ლუის კასტილიოს ეჩხუბა. იმ ბრძოლისას კორალესს 9 რაუნდის განმავლობაში ურტყეს და ორჯერ ნოკდაუნშიც გაუშვეს, მაგრამ მან წამოდგომა მოახერხა და მეათე რაუნდში კასტილიო იქით დაანოკაუტა.

**კახა ლომჯაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ჯონის უკვე ორი



ჯონ ჰიგინსი

**შოტლანდიელმა** ჯონ ჰიგინსმა ცხრაწლიანი შესვენების შემდეგ მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა და ამ მაჩვენებლით მოქმედ სნუკერისტთა შორის უელსელ მარკ უილიამსსა და ინგლისელ რონი ოსალივანს გაუთანაბრდა.

შეფილდში, სადაც 17 დღის მანძილზე მიმდინარეობდა ბილიარდის ყველაზე ეშხიანი და ჯადოქრული სახეობის რიგით 73-ე მსოფლიოს ჩემპიონატი, მრავალნაცადი სქოთი მართლაც საუკეთესო იყო. პირველ წრეში დიდმა ჯონმა 10:4 გაანადგურა ინგლისელი მაიკლ ჰოლტი, შემდეგ 13:4 დაჩაგრა ირლანდიელი ფერგალ ობრაიენი და მეოთხედფინალში სნუკერის მოცარტს, ორგზის ჩემპიონ ინგლისელ რონი ოსალივანს დაუპირისპირდა.

ამ მატჩში რვა ფრეიმის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო, მაგრამ შემდეგი რვიდან ჰიგინსმა შვიდი მოიგო და, მართალია, რონიმ ბოლომდე იბრძოლა, შეხვედრა მაინც ჯონის გამარჯვებით — 13:9 დასრულდა და ამით სქოთმა რევანში აიღო 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარცხისთვის.

ნახევარფინალში ჰინგისის მეტოქე მეორე სქოთი, მსოფლიოს პირველობებზე ამ სტადიამდე პირველად მისული სტივ მაგუაერი იყო და ჯონმა დაძაბულ ბრძოლაში 17:15 დაამარცხა თანამემამულე.

მეორე ნახევრაფინალი ინგლისური იყო — შარშანწინდელი ჩემპიონი შონ მერფი ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშის მარკ სელბის წინააღმდეგ. მანამდე, მეოთხედფინალში, მერფიმ გვარიანი სასწაული მოახდინა და 5:11 ჩამორჩენას შემდეგ 13:12 მოუგო უელსელ მეტიუ სტივენსს. გადამწყვეტ ფრეიმზე მიდგა საქმე მერფისა და სელბის დუელშიც, ოღონდაც ამ ჯერზე არა შონს, არამედ მის მეტოქეს გაუღიმა ბედმა და 22 წლის სელბი პირველად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში.

ფინალური მატჩი 18 მოგებამდე ტარდება და ხუთი ფრეიმის შემდეგ სელბი 3:2 იგებდა, მაგრამ შემდეგ ინგლისელის თამაშში რაღაც აირია, მრავალნაცადი სქოთი კი იუველირის სიზუსტით აგდებდა ბურთულებს, თავის ახალგაზრდა მეტოქეს ტაქტიკურადაც სჯობდა და შედეგად, ჯონმა ზედიზედ 7 ფრეიმი მოიგო, შემდეგი ოთხი პარტიიდან კიდევ სამში იმარჯვა და პირველი სათამაშო დღის შემდეგ, თითქმის გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა 12:4.

ორშაბათს ფინალი განახლდა და სელბი გაცოცხლდა. ინგლისელი ჩვეულ, აგრესიულ სტილში უტევდა, ყველა ბურთულის ჩაგდებას ცდილობდა და ჰინგისის უპირატესობამ დნობა იწყო. სელბიმ მიჯრით ექვს ფრეიმში იმარჯვა და ჩამორჩენა 10:12-მდე შეამცირა. შემდეგი ოთხი პარტია მეტოქეებმა თანაბრად გაინაწილეს და 27-ე ფრეიმის მოგებით კი სელბიმ ჩამორჩენა 13:14-ზე დაიყვანა. ბოლოს, მაინც ჰიგინსმა იძალა. თანაც, სელბი აშკარად ავანტიურულად თამაშობდა, წარმოუდგენელი ბურთულების ჩაგდებას ცდილობდა და ხანდახან აზერხებდა კიდეც, მაგრამ ტაქტიკურ ბრძოლაში პირწმინდად დამარცხდა და 31-ე ფრეიმის შემდეგ ყველაფერი დასრულდა — ჯონ ჰიგინსმა, ვისაც 18 მაისს 32 წელი უსრულდება, 18:13 მოიგო და 1998 წლის ტრიუმფის შემდეგ მეორე ჩემპიონობა იზეიმა.

# ბევრი დევისი და ბოლოს ჰიგინსი

**სნუკერში** მსოფლიოს ჩემპიონატები 1927 წლიდან ტარდება. მეორე მსოფლიოომისწინა ეპოქა ჯო დევისისა იყო. სნუკერის ამ ლეგენდამ 1927-1940 წლებში ზედიზედ 14 ტიტული მოიგო და, როდესაც ომის შემდეგ ჩემპიონატები განახლდა, 1946 წელს მე-15 ტრიუმფიც იზეიმა.

შემდეგ ვალტერ დონალდსონისა და ფრედ დევისის დრო დადგა. 1947-51 წლებში ამათ მიყოლებით ხუთი ფინალი ითამაშეს ერთმანეთთან. ამათგან პირველი და მეოთხე დონალდსონისა იყო, ხოლო დანარჩენი სამი დევისისა. 1952 წელს ჩემპიონობა ჯო დევისთან სამი ფინალის წამგებმა ჰორას ლინდრუმმა მოიპოვა და მერე, ისევ ფრედ დევისის ჯერი დადგა, რომელმაც 1952-56 წლებში ზედიზედ ხუთჯერ იმარჯვა და თავისი ტიტულების რაოდენობა რვამდე აიყვანა.

1957 წელს ჩემპიონი ჯონ პულმენი გახდა. შემდეგ, ექვსი წლის მანძილზე, ანუ 1958-63 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატები არ გამართულა. სამაგიეროდ, 1964 წელს ორი, ხოლო მომდევნო სეზონში, სულაც სამი ტიტული გათამაშდა და ყველა, ხუთივე მათგანი პულმენმა მოიგო. მისივე გამარჯვებით დასრულდა 1966 წლის პირველობაც. 1967 წელს ჩემპიონატი ერთხელაც არ ჩატარდა და 1968 წელს კი ისევ პულმენმა იმარჯვა და მას შემდეგ, ანუ მთელი 40 წელია, მსოფლიოს ჩემპიონატები ყოველგვარი შეფერხების გარეშე ტარდება.

### მსოფლიოს ჩემპიონები 1968 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1968 | ჯო პულმენი | 1982 | ალექს ჰიგინსი | 1995 | სტივ ჰენდრი |
| 1969 | ჯონ სპენსერი | 1983 | სტივ დევისი | 1996 | სტივ ჰენდრი |
| 1970 | რეი რერდონი | 1984 | სტივ დევისი | 1997 | კენ დოჰერტი |
| 1971 | ჯონ სპენსერი | 1984 | სტივ დევისი | 1998 | ჯონ ჰიგინსი |
| 1972 | ალექს ჰიგინსი | 1985 | დენის ტეილორი | 1999 | სტივ ჰენდრი |
| 1973 | რეი რერდონი | 1986 | ჯო ჯონსონი | 2000 | მარკ უილიამსი |
| 1974 | რეი რერდონი | 1987 | სტივ დევისი | 2001 | რონი ოსალივანი |
| 1975 | რეი რერდონი | 1988 | სტივ დევისი | 2002 | პიტერ ებდონი |
| 1976 | რეი რერდონი | 1989 | სტივ დევისი | 2003 | მარკ უილიამსი |
| 1977 | ჯონ სპენსერი | 1990 | სტივ ჰენდრი | 2004 | რონი ოსალივანი |
| 1978 | რეი რერდონი | 1991 | ჯონ პეროტი | 2005 | შონ მერფი |
| 1979 | ტერი გრიფიტსი | 1992 | სტივ ჰენდრი | 2006 | გრემ დოტი |
| 1980 | კლიფ თორბურნი | 1993 | სტივ ჰენდრი | 2007 | ჯონ ჰიგინსი |
| 1981 | სტივ დევისი | 1994 | სტივ ჰენდრი | | |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge